# № 84 სახალხო გაზეთი № 84

სამშაბათი, 17 აგვისტო, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი


**ქართული დრამატიული საზოგადოებ. გამგეობა** აუწყებს ქართულ თეატრის ყველა გულშემატკივარს, რომ ორშაბათს, 16 აგვისტოს, დილის 9½ საათზე, ხან-მოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დამსახურებული და ნიჭიერი მსახიობი ქალი

## ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა.

პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 6 ნახევარ საათზე, ვერის წმ ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა ხუთშაბათს, 19 აგვისტოს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (0—1)

**ტფილისის ქართული დრამატიული დასის მსახიობნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგის

## ნატო გაბუნია-ცაგარლის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 6½ საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა ხუთშაბათს 19 აგვისტოს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (0—1)

**თამარ ალექსანდრეს ასული და კონსტანტინე მანუჩარის ძე ნარაკიძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 16 აგვისტოს დილის 9 ნახ. საათზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი დედაზე უფრო ნაამაგდრევი

## ნატო გაბუნია-ცაგარლისა

პანაშვიდები ყოველ დღე სალამოს 6 ნახ. საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, სადაც დასვენებულია ცხედარი. დაკრძალვა ხუთშაბათს, 19 აგვისტოს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

**მიხეილ და ზურაბ გიორგის ძენი თავ. ერისთავები, მარიამ გიორგის ასული კნ. ავალიშვილისა, თამარ გიორგის ასული კნ. ჯანდიერისა და ნინო გიორგის ასული კნ. ფავლენიშვილისა, თავ. ივანე ჯანდიერი და ვასილ ფავლენიშვილი** ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას—პირველი ხუთი საყვარელ ძმის, ხოლო უკანასკნელი ცოლის ძმის ტფილისის პოლკის პოდპოლკოვნიკის

## თავ. სვიმონ გიორგის ძე ერისთავისას.

გამოსვენება მიცვალებულისა ტფილისის სამხედრო საავადმყოფოს ნიშიდან დღეს 17 აგვისტოს დილის 7 საათზე ტფილისის პოლკის ეკლესიაში—ავლაბარში. დაკრძალვა სამხედრო სასაფლაოზე ნავთლუღში. (1—379—1)

ქუთაისის სათავად-აზნაურო ქართული

## გიმნაზია

ამით აცხადებს, რომ ხელმეორე გამოცდები დაიწყება აგვისტოს 24-ს, ხოლო მისაღები ეგზამენები მე-6 კლასში აგვისტოს 25-ს და მოსამზადებელი კლასის I-სა და II განყოფილებაში აგვისტოს 27-ს.

**სწავლა დაიწყება ენკენისთვის 1-ს.** (5—5.—5)

## გორის ქ ქ ვ ს კლასიანი საქალ ქო პროგიმნაზია

ამით აცხადებს, რომ დამატებითი **გამოსაცდელი** ეგზამენები გორის პროგიმნაზიაში დაიწყება — **23 აგვისტოს** — ხოლო **მისაღები 25 აგვისტოს.** (5—5.—4)

წიგნის გამომცემელი ამხანაგობა

## „ალიონი“

ამით აცნობებს, რომ წიგნებზე ხელის მოწერა ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო გაგრძელდება პირველ სექტემბრამდე. წიგნების გამოცემა უზრუნველყოფილია.

(0—5.—6) ამხანაგობა „ალიონი“-ს გამგე **ვ. გადილია.**

გორის ქალთა ანასტასიის

## გიმნაზია

ამით აცხადებს, რომ გიმნაზიას მოწაფეთა ხელმეორე (переэкзаменовки) და მისაღები გამოცდები დაიწყება **24 აგვისტოდან**

(5—5.—4)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

**ტ. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ა. ბოპოვი**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

**მ. გ. ფიოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ნ.ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—5.—415)

## რადგან ქართლში ზოლერა თანდათან ვრცელდება

და ამის გამო ერთად დიდ-ძალი ხალხის შეკრება მავნებელი იქნება, ამიტომ ს. არბოს მცხოვრებელთ გადასწყვიტეს, **არ იდღესასწაულონ წელს გერის-თაოზა** რომელიც მოდის მარიამობისთვის 22-სა და 29-ს. ამ დღეებში სოფლის გარეშემო იდგებიან ყარაულები, **რომელნიც არავის არ შემოუშვებენ სოფელში.**

(2—1) არბოს მამასახლისი **ზაქარია ქრისტესიაშვილი.**

## ქ. ქუთაისში

თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობის

## წიგნის მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული

**სახელმძღვანელო წიგნები.**

სახალხო სასწავლებლებს, სახალხო ბიბლიოთეკებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10 პროცენტი. ყდაზე გადახდებათ თითო შაური.

ვინც ფასდადებით გამოიწერს, მან ბე უნდა გამოგზავნოს. აქვე იმყოფება უმთავრესი საწყობი შემდეგი წიგნებისა:

1. გუთანი, ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი, შედგენილი ქუთ. ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების მიერ . . . . . . . . ფასი 80 კ.
2. ქართული გრამატიკა ს. ხუნდაძისა, . . . . . . . . „ 50 „
3. ქართული წერის დედანი, ს. დათეშიძისა, . . . . . . . . „ 20 „
3. ბატონ-ყმობა საქართველოში, ალ. ხახანაშვილისა, . . . . . . „ 50 „
5. საქართველოს ისტორია ს. ქვარიანისა, . . . . . . „ 25 „
6. ელისო, მოთხრობა ალ. ყაზბეგისა, . . . . . . . „ 10 „
7. დედაენის ზოგიერთი სიტყვების განმარტება, პ. ქარაიასი. . . „ 15 „

(25—5.—1)



## ქართული საზაფხულო თეატრი

დღეს, სამშაბათს, 17 აგვისტოს,

**უკანასკნელი დღენი**

## ჩემპიონატისა.

დღეს სხვათა შორის იჭიდავებს კავკასიის გამოჩენილი

**ფ ა ლ ა ვ ა ნ ი**

**კულა გლდანელი** და **ჯიბგირი**

**ჭიდაობა იქნება ორგვარი კავკასიურ და ფრანგული.**

1. კულა გლდანელი ეჭიდავება იანოშ ნაჯის. 2. ჯიბგირი დიმიტრაშვილს. 3. პეტერსონი წითელ ნიღაბს. 4. შავი ნიღაბი აპოლონს.

ბაღში დანიშნულია სეირნობა.

**ბაღში დაუკრავს ორი ორკესტრი და დუდუკი,**

ჭიდაობის დაწყებამდე სინემატოგრაფის სეანსები. ბაღში შესასვლელი ფასი 20 კაპ.

**ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია.**

**მცხეთის წმ. ნინოს** დედათა მონასტრის სკოლის საბჭო ამით აცხადებს, რომ გამოსაცდელი და მისაღები ეგზამენები მომავალ 1910—11 სამოსწავლო წ. მოხდება 1—2 სექტემბერს, ხოლო სწავლა დაიწყება 3 სექტემბერს. სწავლის ფასი გარედგან მოსიარულეთათვის წელიწადში 25 მანეთი, ხოლო პანსიონში სწავლის ფასით ერთად 140 მ., ნახევარ ხარჯზედ 120 მან. სახელმწიფო ხარჯზედ არავინ იქმნება მიღებული.

თხოვნები უნდა გამოიგზავნოს მცხეთა იღუმენია ნინოს სახელზე. (1—5.—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**ბედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელ. მ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და ხახ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ზ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**ხოზოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—5.—254)

**ექიმი** ვაჟ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ. ავადმყოფების მიღება საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჩლექიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი (50—5.—45)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

**გადავიდა** იზმაილოვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს. -2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი** ზ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზალ.—9)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გირიჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს, ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი ჯაპაშვილისა (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა მ. ბედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20. ტელ. N 79. (0—5.—125)

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** მ. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—196)

**ექიმი** მ. ს. არჯევანიძე

**ქუთაისში.**

იღებს ავადმყოფებს: შინაგან, ქალთა სნეულებ. აგრეთვე საბებიო. დილის 9—12 ს. საღამოს 6—7 საათ. გარდა კვირა-უქმე დღეებისა. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოკიელოვისა. (25—გვ.—23)

## შპალიერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

## ძმ. ტარნოპოლების

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—47)

**ქირავდება** ერთი ოთახი ზემო სართულში მზიანი და ნათელი. შეიძლება მოწყობილობით და სადილით. კიროჩნი და ელისაბედის ქუჩის კუთხე **№ 69.** მარჯვენა ზემოთი ზარი. იქვე მიიღებენ მოწაფეებს სრულ **ხარჯზედ.**

## პ ი რ ვ ე ლ ი

**ყველასათვის ხელ-მისაწვდომი**

**კლასები ფორტოპიანოსი**

თავისუფალ მხატვრის პიანისტის

**იოსებ გიორგის ძე ტერ-დავიდოვისა.**

ტფილისი. ელისაბედის ქ., N 40.

**გ ა კ ვ ე თ ი ლ ი:**

თავის ბინაზე 10 მ. თვეში (კვირაში 2 გაკვეთილი, და 8 მ. თვეში (კვირაში 1 გაკვეთილი).

გაკვეთილი მოწაფის ბინაზე: 25 მ. თვეში (კვირაში 2 გაკვეთილი), და 15 მ. თვეში (1 გაკ. კვირაში). ფასი თვის დასაწყისში, წინ და წინ. ღარიბები, ვისაც ნიჭი აქვს, უფასოდ სწავლობს და მიიღებიან კონკურსით თავისუფალ ადგილებზე. ამათ უნდა წარმოადგინონ სიღარიბის მოწმობა. უფასო ადგილი 30.

ვინც დაწინაურდება, გაივლის მუსიკის თეორიასაც. ყოველ წელს იმართება კონცერტები. უქმობენ კვირა-უქმე დღეებს. (20—5.—1)

## ს უ რ ა მ ი

**ოთხშაბათს 18 აგვისტოს**

**=დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა=**

**თამარ ძნელაძისა** და —

— **ვანო სარაჯიშვილის**

## ==კონცერტი==

ბილეთის ფ ა ს ი 2 მან.—30 კ.—მდი.

დასაწყისი საღ. 9 ნახ. საათ. (2—1)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზ. „ნოვოე ვრემიაში“ მოთავსებულია წერილი ტფილისიდან: „პირველ დაწყებითი სწავლა-განათლება კავკასიაში“. წერილის ავტორი ვინმე კავკასიელი რუსი ეხება სახალხო განათლების საკითხს კავკასიაში და აი რას ამბობს:

... რომელიმე კუთხის წარმოების ნაყოფიერების განვითარება შეუძლებელია თუ არ ამ კუთხის ხალხი გონივრულად არ განვითარდება, რაც შეეხება კერძოდ კავკასიას, უნდა ვსთქვათ, რომ სახალხო განათლებას ამ კუთხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს ძლიერი საშუალებაა რომ ადგილობრივი მოზარდი თაობა გაეცნოს რუსის კულტურას. ამას გარდა კავკასიის სახალხო სკოლას აქვს კიდევ სხვა განსაკუთრებული დანიშნულება—შეათვისოს სხვა და სხვა ენაზე მოლაპარაკე კავკასიის ხალხებს რუსული ენა, რომელიც კავკასიის ხალხებს დაახლოვებს რუსეთთან. ამ ორ პირობით. შეთანხმება, გამონახვა საუკეთესო საშუალებისა, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ უკეთესად შეითვისონ რუსული ენა მხოლოდ საერთო განათლების არა საზარალოდ და გონების განვითარების აწევა რუსულ ენის გავრცელებასთან ერთად—აი რა უნდა ედვას საფუძვლად კავკასიის ყველა სკოლას და კერძოდ პირველ დაწყებით განათლებას.

პირველ დაწყებით სკოლებში სწავლება 1881 წლის გეგმით სწარმოებდა. პირველ წელიწადს ბავშვს სამშობლო ენაზე ასწავლიდნენ. სანამესტნიკოს გაუქმების შემდეგ და წესი შეიცვალა და შემოიღეს პირველი წლიდანვე რუსულ ენაზე სწავლება. თუ ეს მიმართული იყო იქითკენ, რომ რუსული ენა უფრო ძლიერ გავრცელებულიყო ხალხში, მაგრამ მაინც ამ საშუალებამ დიდი ნაყოფი ვერ გამოიღო. საქმე იმაშია, რომ რუსული ენა ადგილობრივ მკვიდრთა შორის მეტად ნაკლებადაა გავრცელებული, ვერც კი იპოვნით ისეთ ბავშვებს, რომლებმაც იცოდნენ რუსული ლაპარაკი. ბავშვს მხოლოდ სკოლაში ესმის პირველად რუსული ლაპარაკი. ამისგარდა, მასწავლებლებიც ხშირად ადგილობრივი მკვიდრნი არიან, თავისუფლად ვერა ლაპარაკობენ რუსულ ენაზე. რასაკვირველია ხუთი წლის ცუდი სწავლება ნორმალურ სასწავლებლებში და სამი წლის სწავლება ერთკლასიანში —მიზანს ვერ აღწევდა. რუსული ენის ცოდნის მაგიერ და რამდენიმედ თავისუფლად კითხვისა დაწერის ნაცვლად იზეპირებენ,—ხშირად სრულიად გაუგებრად. ამასთან, რადგან მოწაფეებმა არ იცოდნენ მასწავლებლის ენა—ვერც სხვა საგნებს ითვისებდნენ. ასეთ პირობებში მცხოვრებნი უნდობლად ეკიდებოდნენ სკოლას, საზარალოდაც სთვლიდნენ მას, რადგან ტყუილ უბრალოდ აშორებდა ბავშვებს შინაურ სამუშაოს.

ამ ბოლო დროს კავკასიის მთავრობა კვლავ დაუბრუნდა **1881** წლის გეგმას და შედეგიც სანუგეშო მოჰყვა. პირველ ყოვლისა ხალხს დაეკარგა უკმაყოფილება რუსულ სკოლისადმი. ამასთან სრულიად გაიფანტა ის შიში, ვითომ ეს სისტემა შეაფერხებს რუსული ენის გავრცელების საქმესაო. რუსული ენის მოთხოვნილება მცხოვრებთა შორის ეხლა ისე დიდია, რომ მცხოვრებნი თითონ სცდილობენ ყოველგვარ საშუალებით შეისწავლონ რუსული ენა, რადგან იმათთვის ამ ენას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ადგილობრივ ენების შესწავლის მიაწრაფების მაგიერ, ეხლა ემჩნევა წინააღმდეგი მოვლენა: ზოგიერთ სოფლებში მოწაფეების მშობლების თხოვნით ამ გეგმას მხარს აუქცევენ ხოლმე და რუსული ენის სწავლებას ერთ წლის კურსზე ადრე იწყებენ. წინად, დასავლეთ ამიერ-კავკასიის (საქართველოს) მცხოვრებნი იძულებულნი იყვნენ ადგილობრივ პირობების მიხედვით ცოდნოდათ ქართული ლაპარაკი. ეხლა ამ ენის მაგიერობა, რუსული ენა იჭერს.

ჩვენ განზრახ გადმოვიღეთ ეს წერილი თითქმის უცვლელად. ყველასათვის აშკარაა, თუ რა პოლიტიკას ადგია მთავრობა და რუსეთის საზოგადოების ერთი ნაწილი კავკასიის ადგილობრივ სწავლა-განათლების საქმეში. იმათ თვალში სკოლა ისეთი დაწესებულებაა, რომელიც პოლიტიკის გარეშე კი არა სდგას, არამედ იარაღია მცხოვრებთა გასარუსებლად. ზემოდ მოყვანილი წერილიც ამას ამოწმებს. „კავკასიელი რუსი“ აშკარად აღიარებს მთავრობის სულისკვეთებას სკოლის საქმეში. რასაკვირველია ფაქტიური მხარე წერილისა არ უნდა იყვეს მართალი. ჩვენ არა გვგონია, რომ რომელიმე სოფელში უარი ეთქვათ ბავშვების სამშობლო ენაზე სწავლებას თავი დაანებეთ და რუსული ენა დააწყებინეთო. დიდი ხანი არაა, რაც ხალხმა ხმა მაღლა წარმოსთქვა — სწავლება სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდესო და ეხლა ისეთი რომ შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა, რომ ხალხს გადაეთქვას ის, რასაც ასე თავგამოდებით თხოულობდა. პირიქით უკანასკნელი წლების ამბებმა და დუხჭირმა ცხოვრებამ უფრო განამტკიცა ხალხში სიყვარული თავის ენისა და სულიერ კულტურისადმი. ამის ნიშნებს ჩვენ ვხედავთ.

## დეპეშები

(პეტერ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

15—16 აგვისტო.

**საზღვარ-გარედ**

**სტამბოლი.** სამხედრო სამინისტრომ გადასწყვიტა, გათავდება თუ არა მაკედონიის იარაღის აყრის საქმე, თურღუთ-ფაშა გაგზავნოს საბერძნეთის საზღვრისაკენ მონაპირე ჯარის უფროსად. კრუპის ქარხანას შეუკვეთეს თოფების დამზადება, ხოლო კრეზოს ქარხანას შეუკვეთეს—ზარბაზნების დამზადება. განზრახვა აქვთ სხვა იარაღის დამზადება კიდევ შეუკვეთონ. საბერძნეთის დეპუტაცია წარუდგა შეიხ-ულ ისლამს და სთხოვა მაშუალის როლი იკისროს პატრიარქსა და მთავრობას შუა საეკლესიო საკითხის გადაწყვეტაში.

**ათინა.** ოფიციალურის ცნობებით ატიკაში ამოირჩიეს 24 კანდი-

დატი სახალხო პარტიისა და მათ შორის ვენიზელოსი, 16 წარმომადგენელი რალისისა და თეოტიკისის შეერთებულ პარტიისა, 4 კრიტელი, ყოფილი მინისტრები ლევიდისი და სკუზესი. ჯერ-ჯერობით ამოირჩიეს 185 წევრი რალისისა და თეოტიკისის პარტიისა. 40—მავრომიხალისისა და 135 დამოუკიდებელი.

**დემუანი.** (შტატი იოვა). 8 ბოროტ-მოქმედმა ბაირაღებით ნიშნის მიცემით გააჩერეს სამგზავრო მატარებელი, რომელიც მინეაპოლისიდან მოდიოდა. ლევოლვერებით დაემუქრნენ მემანქანესა და მისს თანაშემწეს და შემდეგ შეუდგნენ მგზავრთა გაცარცვას. სტაცებდნენ ძვირფას ნივთებს. მატარებლის მცველებმა მოახერხეს რევოლვერების გამოტანა და შიპყრეს 5 მცარცველი.

**სკრენტონი.** (პენსილვანია) მოხდა შეტაკება გაფიცულ მუშებსა და პონსილვანიის ნახშირის მწარმოებელ კამპანიის შუა. ერთი გაფიცული მუშა მოჰკლეს რამდენიმე მძიმედ დასჭრეს. დააპატიმრეს 38 მუშა.

**ათინა.** გაზეთ „ანინას" ცნობებით საერო კრებაში აირჩიეს 94 თეოთივისისა და 64 ხალხის პარტიის წარმომადგენელნი, 34 მთავრობის ხალხის მომხრენი, რომელნიც თხოულობენ დამფუძნებელ კრების მოწვევას, 13 კრიტელი, 146 დამოუკიდებელი, მათ შორის 346 დამოუკიდებელი, მათ შორის 3 რეიმისელი აგრარი, 35 თავისუფალი მოაზრე, რომელნიც დამფუძნებელ კრების მომხრენი არიან, 4 სოციალისტი, 76 დეპუტატის პოლიტიკური მიმართულება გარკვეული არაა.

**რომი.** ბარლეტში ერთს დღეში ხოლერით ავად გახდა 11, გარდაიცვალა 9; აპულიის სხვა ადგილებში ავად გახდა 14, გარდაიცვალა 10.

**სტამბოლი.** ბერძენთა დეპუტატებმა შეიხ-ულ ისლამს წარუდგინეს მემორანდუმი, რომლითაც თხოულობენ შემოღებულ იქმნას პროპორციონალური სისტემა არჩევნებისა, ხელუხლებლობა სასკოლო და საეკლესიო საქმეებში, გამოცემა კანონთა, რომელნიც ათანასწორებენ ქრისტიანთა უფლებას სახელმწიფოს ცხოვრების ყველა დარგში, შეცვლა სამხედრო ბეგრის მოხდის წესებისა, ბერძენთა სკოლების უფლების გათანასწორება მთავრობის სკოლებთან. სავიზიროში უნდა დაინიშნოს უმაღლესი საბჭო მოხელეთა თვალ-ყურის სადევნად. ამ საბჭოს წევრთა ნახევარი ქრისტიანები უნდა იყვნენ. შეის-ულ ისლამი დაჰპირდა მემორანდუმს მინისტრთა საბჭოს წარუდგენო. „ტანინი" ცხარე წერილში გაკვირვებულია, თუ რად მიმართეს შეიხ-ულ ისლამს. გაზეთის აზრით ბერძნების მოთხოვნილება ხელს კი არ შეუწყობს არსებულ დამოკიდებულებათა მოგვარებას, პირიქით, უმალ ის ხელს შეუწყობს ამ დამოკიდებულების გამწვავებას.

სამიწად-მოქმედო სამინისტრომ გადაწყვიტა კიეტოს ზოლინგენის გერმანელ მეფაბრიკეებს შეუკვეთოს 70,000 ლირას სამიწად-მოქმედო იარაღების დამზადება.

**სპეცია.** გარდაიცვალა ფიზიოლოგი და ანტროპოლოგი მანტეგაცცა.

**ბერლინი.** „ნორდ-დეიჩე-ალგემეინე ცაიტუნგი" თანაუგრძნობს ჩერნოგორიის სამეფოდ გამოცხადებას, ახალ მეფეს ჩერნოგორიის მასწავლებლად აღიარებს, ხალხის განმანათლებლათ და გამოცდილ დიპლომატად. სხვა გაზეთებიც ასე მეგობრულის კილოთი სწერენ ჩერნოგორიის შესახებ.

**რომი.** ერთი დღის განმავლობაში ავად გახდა ხოლერით ბარში—12, გარდაიცვალა 5, ფოჯიში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 3 კაცი.

ვენიზელოსი მიემგზავრება ათინას, გზაზე ის ინახულა გარეშე საქმეთა მინისტრმა.

**ქრისტიანია.** დაარსდა საქციონერო საზოგადოება ნორვეგია-ამერიკის სანაოსნო მიმოსვლისა.

### ჰაერში ფრენა.

**ბერლინი.** დირიჟაბლი „ვილ და პარი" და 21 ივლისს 9-ჯერ აფრინდა. ამ ცდამ დაარწმუნა ყველა, რომ შეიძლება ფრენა ღამე.

**არნჰეიმი** (ნიდერლანდია). ჰოლანდიის ავიატორი ვან მაასდიკი ფრენის დროს ჩამოვარდა აპარატით და სასიკვდილოდ დაშავდა.

**გავრი.** ავიატორი ლეგნიე ფრენის დროს დაეჯახა ბოძს. აპარატი დაიმსხვრა, ლეგანიე სასიკვდილოდ დაშავდა.

## რ უ ს ე თ ი

**კიშინოვი.** გალეშტის ქარხანაში გასქდა ქვაბი. დაიღუპა სამი. გვამების განყოფილება მთლად განადგურდა. ფიქრობენ, რომ მტრობით ჩაიდინეს.

**პეტერბურგი.** გაზეთ „როსია'ში" დაბეჭდილია ძირითადი დებულებანი მინისტრთა საბჭოს მიერ განხილულ კანონპროექტისა, ფინლანდიაში მცხოვრებ რუს მოქალაქეთა უფლების გათანასწორების შესახებ: ფინლანდიაში მცხოვრებ რუს მოქალაქეთ, რომელნიც ფინლანდიაში სცხოვრობენ უნდა მიენიჭოთ თანასწორი უფლება ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებთან შედარებით. რუსეთის უმაღლესს სასწავლებლებში კურს დამთავრებულთ ასეთივე უფლება უნდა ჰქონდეთ სხვა და სხვა თანამდებობათა მიღებაში, როგორც ფინლანდიელთ, რომელთაც სწავლა გაათავეს ფინლანდიის უმაღლესს სასწავლებელში. ფინლანდიის სასწავლებლებში ისტორიის სწავლების უფლება თანაბრად უნდა მიენიჭოს რუსეთის ყველა ქრისტიან ქვეშევრდომთ. ფინლანდიის მთავრობისა თუ საზოგადო დაწესებულების მოსამსახურე, რომელიც განძრახ არ დაიცავს ამ სწორ უფლებიანობას რუსეთის მოქალაქეთა მიმართ სამართალში იქნება მიცემული თანახმად საერთო საიმპერიო კანონებისა. დამნაშავეთა საქმე გაირჩევა პეტერბურგის ოლქის სასამართლოში. სასჯელთა დებულების მუხლში დამატებულია, რომ დამნაშავეს გადახდება 500 მანეთი, და დაპატიმრება ერთი თვით—3 თვემდე და ციხეში დამწყვდევა 2 თვიდან 2 წლამდე ზოგიერთ პირობათა ჩამორთმევით. ფინლიანდიის წესები ებრაელებისა და ციგნების შესახებ ჯერ ისევე რჩება ეს კანონი ძალაში შევა 1911 წლის პირველ იანვრიდან.

**რუსეთი.** ტყის საზოგადოება 1911 წლის 23—27 იანვრისათვის იწვევს პეტერბურგში სრულიად რუსეთის ტყის პატრონთა კრებას.

**კიშინევი.** განჩეშტის გზატკეცილზე ექვსი მცარცველი თავს დაეცა ოთხ მგზავრს, ერთი მოჰკლეს, მეორე სასიკვდილოდ დასჭრეს და მიიმალნენ.

**ჰელსინგფორსი.** დილის 11 საათზე სან მიხლში უეცრად დიდი ცეცხლი გაჩნდა. გადაიწვა ერთი უბანი. ზარალი 500,000 მანეთს უდრის.

**ყაზანი.** გემ „კნიაჟნაზე" ნახეს ერთი ყუთი ჰილოფში გახვეული. საშინელი სუნი ასდიოდა. გახსნეს და აღმოჩნდა, რომ შიგ კაცის ნახევრად გახრწნილი გვამი იდო. გამორკვეულია, რომ გვამი ასტრახანიდან გამოგზავნეს,

**ოდესა.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე გემ „სოფიაზე" დავლასხმისა და რუსეთის ბანკის მეარტელესაგან 50.000 მანეთის მიტაცების შესახებ. სასამართლომ ორს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა ერთს 15 წლის კატორგა ამასთან დაადგინა იშუამდგომლოს უკანასკნელის სასჯელის შემსუბუქებაზე. ერთს გადაუწყვიტა ოთხი თვით ციხეში დაპატიმრება, დანარჩენნი გამართლა.

**პეტერბურგი.** კანონ-პროექტი ფინლანდიელთა სამხედრო ბეგრის მოხდის ნაცვლად გადასახადის გაღების შესახებ შეიცავს შემდეგს: სანამ ფინლანდიელნი პირადად მოიხდიდნენ სამხედრო ბეგარას დაეკისროს ფინლანდიის ხაზინას გადუხადოს სახელმწიფო ხაზინას 1911 წელში 12.000,000 მარკა. შემდეგ ყოველ წელიწადს შესატან თანხას უნდა მოემატოს თითო მილიონი მარკა, სანამ 20.000.000 მარკა არ გახდება. თუ ფინლანდიაში შემოღებულ იქნა პირადი ბეგრის მოხდა—ფულის გადახდა გაუქმდება. გადასახადის განაღდების საშუალებას გამონახავს ფინლანდიის მთავრობა ადგილობრივის წესით. 1910 წელში პირად ბეგრის მოხდის ნაცვლად გადაიწეროს ფინლანდიის ხაზინიდან სახელმწიფო ხაზინაში გარდა გადახდილ 2 მილიონ მარკისა კიდევ 9 მილიონი მარკა.

მიმოსვლის გასაადვილებლად პეტერბურგსა, მოსკოვსა და შავი ზღვის ნაპირის ადგილებს შუა—ნოვოროსიისკსა, სოჭსა და სოხუმს შუა შემოღებულ იქნება მიმოსვლის პირდაპირი ბილეთი. აგრეთვე შემოღებულ იქნება ორი სწრაფი მატარებელი პირველი და მეორე კლასისა. მატარებელი ივლის პეტერბურგსა და ნოვოროსიისკს შუა ორ კვირაში ერთხელ. პირველი მატარებელი გავა ნოვოროსიისკიდან 26 აგვისტოს, ხოლო პეტერბურგიდან—2 სექტემბერს.

**მოგილიოვი.** ქათმის კვერცხის სისხო სეტყვამ გაანადგურა ბოსტანი და ნათესობა მიკულინის საზოგადოებაში—785 დესეტ. მანძილზე ვაფუჭდა 50 შენობა.

## ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** დღის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 68, გარდაიცვალა 26 ავადაა 684.

**პეტერბურგი.** ხოლერის შესახებ დეპეშათა სააგენტომ შემდეგი ცნობები მიიღო: ატკარსკში ერთი კვირის განმავლობაში ავად გახდა—26, გარდაიცვალა 13, მაზრაში ავად გახდა 42, გარდაიცვალა 27, სულ სენის გაჩენიდან 845, გარდაიცვალა 388, ავადმყოფთა რიცხვი კლებულობს. ბელოზერსკში და მაზრაში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 3. ვოლოგდის გუბერნიაში ავად გახდა 60, გარდაიცვალა 32, ვოლინისაში—75, გარდაიცვალა 44, კრონშტატში 47, გარდაიცვალა 33. ყარსში—9, გარდაიცვალა 5. ოლქში ავად გახდა 280, გარდაიცვალა 120. კერჩში ავად გახდა 10, გარდაიცვალა 3. კიევში ავად გახდა 21, გარდაიცვალა 8. გუბერნიაში 598, გარდაიცვალა 248. კურსკში 312, გარდაიცვალა 171. მოგილოვის გუბ.—22, გარდაიცვ. 13. ნიჟ.-ნოვგოროდში—27, გარდაიცვალა 3. გუბერნიაში 176, გარდაიცვალა 143. ნოვგოროდისაში — ავად გახდა 34, გარდაიცვალა 14. ოდესაში—15, გარდაიცვალა 22. ომსკში—209, გარდაიცვალა 114. ორლოვის გუბ. ავად გახდა 232. გარდაიცვალა 137 პავლოგრადის მაზრაში—27. გარდაიცვალა 10, პენზაში — 9, გარდაიცვალა 3. გუბერნიაში ავად გახდა 78, გარდაიცვალა 57; როსტოვის საგრადონაჩალნიკოში სენის გაჩენიდან ავად გახდა 3,663, გარდაიცვალა 1,124. სამარაში ავად გახდა 39, გარდაიცვალა 59, გუბერნიაში—1,400, გარდაიცვალა 688, სიმფეროპოლში—25, გარდაიცვალა 24. გუბერნიაში 429, გარდაიცვალა 252 და სხვა და სხვა.

# ახალი ამბები

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ნ. მ. გაბუნია ცაგარლის გარდაცვალება.** გუშინ, ტფილისში ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქართული სცენის დამსახურებული მსახიობი, ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა. ეს სამწუხარო ამბავი მსწრაფლ მოედო ტფილისს და საყოველთაო მწუხარება გამოიწვია. გუშინ ქართულ თეატრში უნდა შესდგომოდნენ მზადებას მომავალ სეზონისათვის. ნატოს სიკვდილის გამო რეპეტიციები სხვა დროისთვის გადაიდო.

✦ **რედაქტორის სამართალში მიცემა.** გაზ. „დროების" რედაქტორი ილია აგლაძე 21 მარტის ნომერში მოთავსებულ ბ. „სოსოს" მეთაურ წერილის გამო სამართალში მისცეს სასჯელთა დებულების მე-129 მუხ. ბრალდებით.

✦ **ხოლერა.** პოლიციის ცნობით, 14 აგვისტოს ტფილისში ხოლერის ნიშნებით ავად გახდა და ხოლერიანთა სამკურნალოში გაგზავნეს ორი კაცი. მათი გვარები: 1) ანნა ალაბუხოვისა და ქსენია გრიქუროვისა.

15 აგვისტოს ავად გახდა ორი: 1) მარიამ გერბოვისა და 2) ანნა პეტროსოვისა. ავადმყოფთა ბინებს შესაფერი დეზინფექცია გაუკეთეს.

✦ **ხოლერასთან ბრძოლა.** დუშეთის ქალაქის რწმუნებულთ უკანასკნელ კრებაზე დაუდგენიათ იშუამდგომლონ ტფ. გუბერნატორის წინაშე, რომ დუშეთის ქალაქის თვითმმართველობას 500 მან. მიეცეს ხაზინიდან ხოლერის წინააღმდეგ ზომების მისაღებად. ამ საგანზე გადადებული 500 მან. ქალაქს უკვე დაუხარჯავს.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „თაიგული", ლექსები ვ. რუხაძისა. წიგნში რუხაძის ლექსებს გარდა მოთავსებულია კრიტიკული წერილი ივ. გომართელისა „დაჩაგრულთა პოეტი". წიგნი შეიცავს 90 გვერდს, დაბეჭდილია სუფთა ქაღალდზე და ღირს 20 კაპ. გამოცემულია ქ. ბათომში მიხ. კალანდაძის მიერ.

✦ **ექსკურსია.** კიევის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა ექსკურსია, რომელიც წამოვიდა კიევიდან ქუთაისს 28 მაისს, ბრუნდება უკანვე ქუთაისიდან კიევს (თბილისი-ბარაჯარი-ეკატერინოსლავი) 28 აგვისტოს. ექსკურსიაში ჩაწერა და მასთან წასასვლელი ფულის, 6 მანეთის შეტანა შეიძლება 25 აგვისტომდის,

# ცრემლი

(ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის ხსოვნას).

მზე მოქანცული, მზე შუქ-მფენი ბნელს ჩაესვენა,
შავი მანტია გადეხურა თხემსა პიტალოს;
ლაჟვარდ სივრცეში იკარგება ნიავის სტვენა
და იქ დასტირის ბუნების შვილს, შვილსა საბრალოს...

—

ცა გაცრეცილი სევდით სტკბება, ცა იცრემლება,
თეთრი ღრუბელი ზედ ადნება მზის ცხოველ სხივებს.—
ვტირებ სანამ ტუჩზედ ღიმი არ შემახმება,
ვტირებ სანამ ცის ცრემლებზე ვარდი იფეთქებს.

—

მზე მოქანცული, მზე შუქ-მფენი ბნელს ჩაესვენა,
მწუხრის მანტია გადეხურა თხემსა პიტალოს;
ლაჟვარდ სივრცეში იფანტება ნიავის სტვენა
და იქ დასტრის მგოსნის სიმებს, სიმებს საბრალოს.

ი. გრიშაშვილი.

# მსახური ეკლესიისა

6 *)

იაკობ მღვდელი კაცი იყო მეთქი ხორციელი, ცხოვრება უნდოდა ამ სოფლად და საცხოვრებელი; მას ესაჭიროებოდა პური არსობისა თავისთვის თუ მახლობელთათვის და უნდა ეზრუნვა ამაზე, ეღონა რამე. აკი კიდეც ზრუნავდა: თავის ხელით ამოჰქონდა სანოვაგე დედამიწის ულეველ სალაროდან და ინახავდა ოჯახს.

გარნა არა პურითა ხოლო სცხონდების კაცი! იაკობს სულიც ედგა უკვდავი, შემოქმედისაგან შთაბერილი, თვით ნაწილი ყოვლადმეცნიერისა და სულისათვისაც საჭირო იყო საზრდო შესაბამი. ეს საზრდო სულიერი, ეს სანოვაგე უნივთო აალორძინებს ნივთიერებაში მოყოლილ და მით დამძიმებულს, დაბაბუნებულს სულს მისცემს მას ძალას ბრძოლისას; შეასხამს ფრთებს მსუბუქს, რომ განერიდოს ამ ქვეყნად. ყოველსავე ბოროტს, ხოლო შემდეგ ხორციდან დახსნისა აღფრინდეს ზეცად და მიხვდეს მას თვისსა ნდომასა.

ბოროტი სდარაჯობს ადამიანის სულს ყოველ ჟამს მისი ცხოვრებისა, უგებს მახარეს ძნელს ყოველ გზაზე მისის მსვლელობისა, უთხრის მთხრებლს, რათა ჩასთხიოს იგი ქვესკნელ; თანა სდევს იგი ბოროტი ადამიანს სიკვდილამდე, ხოლო სიკვდილის შემდეგ ევლინება მის სულს სანტიკ და საზარელ ჰაერის მცველთა სახით. თუ ადამიანს ჯარ მიუპყრეს საზრდო, უნივთო, დაიმშევა სული მისი, დაუძლურდება, დაეშვება ძირს და შთანსთქამს მას ბოროტი.

იაკობ მღვდლის რწმენით საზრდო სულიერი იყო მარტოოდენ მტკიცედ აღსრულება ეკლესიის მოთხოვნილებათა, აღსრულება ყველა იმ სამღვთო წესებისა და ჩვეულებებისა, რომლებიც დაუდგენიათ წმიდა მამებს. გარეშე ამ წესწყობილებისა ყოვლად შეუძლებელი იყო საზრდოობა სულისა ამ ქვეყნად. და მისი სასუფევლად მიყვანება იმ ქვეყნად. თვით სიკვდილის შემდეგ მხოლოდ ამ საეკლესიო წესებისა და ჩვეულებების აღსრულებით შეიძლებოდა შველა საიქიოს მყოფ უიმედოდ უმწეოდ დარჩენილ უბადრუკ სულთა და ამისთვის ყველა მოვალე იყო, ვისაც კი სიკეთე უნდოდა თავის თავისთვის ამ ქვეყნად თუ საიქიოს, ეზრუნვა თვის კეთილდღეობაზე ამ საშუალებით, ეკლესიის დახმარებით.

კერძოდ ყველა მღვდლისთვის, როგორც ხუცესისთვის, როგორც უხუცესისთვის და წინამძღვარისთვის მრევლისა, ეს ზრუნვა სულიერ პურის მოსაპოებლად დიდი იყო და მეტად პასუხის საგები: იმას უნდა ეზრუნვა არა მხოლოდ თავის თავზე, არამედ სხვაზედაც; მას არ უნდა წაეწყმიდა არც ერთი მათგანი, რომელი მისცა მას მამამან ზეცათამან საზრუნველად. იგი რჩეული იყო, აღნიშნული სულისაგან წმიდისა და მინიჭებული ჰქონდა ძალი და უფლება შეესრულებინა ყოველივე სამღთო წესი თვისი მრევლისათვის, გარდმოევლინა მადლი მაცხოვნებელი მრევლზე და წაემძღვარებინა იგი მადლი ყველასათვის ყოველ საიანდო კერძო შემთხვევაში ცხოვრებისა. თუ ეს მადლი არ მიენიჭებოდა იმათ, მაშინ ისინი შეიქმნებოდნენ სულიერად უძლურნი მავნე ძალებთან საბრძოლველად, მაშინ სული ბოროტი სძლევდა მათ და დაიპყრობდა.

ამისთვის მღვდლობა ძლიერ საშიში იყო თვით აღმასრულებელისათვის სამღთო წესისა, თვით ხუცესისათვის: თუ არ შეასრულებდა თავის მოვალეობას, ან წესისამებრ ვერ შეასრულებდა, ვერ მიაშველებდა საწმყსოს ძალასა ღვთისასა საჭირო შემთხვევაში, არ მიაწვდიდა ეშმაკთან საბრძოლველ იარაღს და ჰშველოდა ისეც გალაღებულ ბოროტს, ხელს უწყობდა მაცთურს მის მისწრაფებაში, შეიქმნებოდა ეშმაკის მუშა და თვით მაცთური. რაღა, მოძღვარი იქნებოდა მაშინ!? არაფერი! უმჯობესი იყო მისთვის დამოეკიდა ქვა წისქვილისა ქედსა თვისსა და დანთქმულიყო უფსკრულსა ზღვისასა.

თუ მღვდელს უზიარებელი მოუკვდებოდა ვინმე მრევლში, მაშინ გარდაცვალებულის სული მოკლებულ იქმნებოდა თვით იესოს და ეშმაბილწი ადვილად შეიპყრობდა უბადრუკს, ხოლო ამ უბედურების მიზეზი იქმნებოდა თვით მოძღვარი; თუ დროზე არ გაუნათლამდა ვისმე სახლს, მაშინ მის მიზეზით მელოგინეს ავი სული დაეპატრონებოდა და დააკვეთებდა; თუ გვალვაში დაიზარებდა პარაკლისის გადახდას, ღრუბელთა შემკვრელი ბოროტ ანგელოსთ მსახური გახდებოდა და დალუპავდა ქვეყანას. და ესე ყოველ ჟამს, ყოველ ნაბიჯზე.

ესე სწამდა იაკობ მღვდელს და თვალსჩინოდ ედგა თავის მრევლს, რომ არც ერთი მღვდელთ მსახურება და საეკლესიო წეს-ჩვეულება არ ასცდენოდა მას და ამით უნებლიეთ ბოროტი არ მოეტანა სამწყსოსათვის და არ შეემძიმებინა თავისი სული, პასუხისმგებელი არ შექმნილიყო წინაშე სამსჯავროსა ქრისტესასა. უკლებლივ სწამდა ეს იაკობს, ძრწოდა შიშით მეუფის წინაშე და თითონვე ადევნებდა მრევლს თვალს, რომ დაუდევრობით თუ სირეგვნით არ გაეშვათ რომელიმე საეკლესიო წესი და ცოდვაში არ ჩაეგდოთ მოძღვარი.

ეს იყო მიზეზი, რომ იაკობ მღვდელი შიშით და კრძალვით აღასრულებდა ყოველსავე სამღთო მსახურებას თუ მოქმედებას.

მღვდელი ხომ მხიარად იყო და შიშობდა რამე სამღთო მსახურება არ გაეშვა და ცოდვა არ ჩაედინა, თანაც სამღთო მოქმედების აღსრულება თვით სიამოვნება იყო ღრმად მორწმუნესათვის და ნეტარება: ღვთის მსახურების დროს ის გრძნობდა, ხედამდა ცხადად, რომ უახლოვდებოდა ღმერთს, მის ანგელოსებს, მის წმიდანებს; ის განიცდიდა მათ სიახლოვეს, გრძნობდა, რომ ძალნი ცათანი მასთანა უხილავად მსახურებდნენ. საუკუნო ნეტარების წინად გრძნობა იყო ეს მისთვის. როცა აღასრულებდა რომელსამე საიდუმლოს თუ სხვა საეკლესიო წეს, იაკობი გრძნობდა ცხადად თავის არსებაში იმ ღვთაებურ ძალას, რომელიც შთაინერგა მასში ხელთდასხმის დროს; გრძნობდა, რომ იგი ძალა გამოვიდოდა მის მაკურთხებელ მარჯვენიდან კურნებად და სალხინებლად სამწყსოსი და ნეტარებდა ხუცესი, როგორც ნეტარებს დიდა, როდესაც მიუპყრობს ძუძუს ჩჩვილს და ალტაცებით გრძნობს თვისაგან გამომავალ სიცოცხლის წყაროს ასაღორძინებლად ახალის არსებისა.

და სიხარულით, სიყვარულით აღასრულებდა იაკობი ყოველსავე სამღთო მსახურებას.

7.

— რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის ამ ოთახში ნუ შემოდიხართ მეთქი! წიგნებსა და ქაღალდებს აქოთებთ და მერე უნდა ალაგოს ადამიანმა. ეს საქმეველი ვიღამ დაპანია? კვეს თუ აკეთებდით, თქვე პირშავებო! დაუტატანა მართამ პატარებს და გარეკა.

— შენ რაღასა სჩორკნი ამ კარის ბჭეში, ეხო ვერ გიტევს? მიუბრუნდა დიასახლისა მოჯამაგირეს. ეს ერთი ოთახი მაინც სუფთად იყოს. აგერ ბლაღოჩინს უპირებია მოსვლა; უეცრად რომ თავს წამოგვადგეს, სად უნდა მივიღოთ?

ისე სტუმრის დარდი არა ჰქონდა დიასახლისს, როგორც თითონ მღვდლისა: მეორე დღეს ფერისცვალება იყო და ლოცვიდან დაბრუნებული მღვდელი ამ ოთახს გაიხდიდა სავანედ, რომ შემზადებულიყო წირვისათვის. ამისთვისა ცდილობდა დიასახლისა. იცოდა, რომ როცა მღვდელი ლოცვად დადგებოდა, მისთვის არავის და არაფერს არ უნდა შაეშალნა ხელი. ის იყო მორჩა მართა ოთახის ალაგებას, რომ შემოვიდა მღვდელი დეკანოზში.

— გწყალობდეთ ლოცვის მადლი! მიესალმა სახლობას და ჩამოჯდა ტახტზე.

*( იხ. „სახ. გაზ." N 79.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა

აცხადებს, რომ 8 აგვისტოდან მოესპო გაზეთის გზავნა იმ ხელის მომწერთ, ვისაც 6 მანეთზე ნაკლები ჰქონდა შემოტანილი. აგრეთვე მოესპოთ გზავნა თვიურ ხელის მომწერთაც, რომელთაც 8 აგვისტოსთვის არ შემოიტანეს ხვედრი ფული.

მოვაგონებთ წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ივლისისათვის უნდა გადაეხადათ წლიური ხელის მოწერის ფასი. ვისაც სრულად არა აქვს შემოტანილი, დააჩქარონ და შემოიტანონ.

ვისაც ფული აქვს გამოსაგზავნი აუცილებლად ამ მისამართით გამოგზავნონ: Тифлисъ, Большая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.

კანტორა პასუხის-მგებელი არაა, თუ ფული სხვა მისამართით იყო გამოგზავნილი და გაზეთი არ მიუვიდათ. ვინც „სახალხო გაზეთზე“ ან სხვა სახელზე გამოგზავნა ფული, დააჩქაროს და განცხადება შეიტანოს ფოსტის კანტორაში ფული ზემოდ ნაჩვენებ ადრესზე გადასცენ. „სახალხო გაზეთის“ კანტორა.

...ბისში სტუდ. ნ. კ. კოპალეიან, ინჟინერის ქუჩა. საკუთა...ლი. ვინც ამ დრომდის ხვედრ...არ წარმოადგენს, ექსკურსა...სიიდან ამოიშლება.

**ექსკურსია კიევში.** ექსკურ...მელიც კიევიდან 20 მაისს ...და კვლავ მიემგზავრება კიევს ...ისტოს. ქუთაისიდან ექსკურ...მოვა 20 აგვისტოს მეექვსე ...ს მატარებლით ჩამოვა ტფი... და აქედან გაემგზავრება ...მეთორმეტე ნომრის მატა...ით.

**კონცერტი სურამში.** ოთხ...ს, 18 აგვისტოს სურამში ...თება თამარ ძნელაძისა და ვანო ...შვილის კონცერტი. პროგრა...ნტერესოდ არის შედგენილი.

**ჰაერში ფრენა.** ამ ზამთარს ...ოგარედ გაემგზავრა ტფილი... ჰაერში ფრენის მოყვარულთა ...ის ჯგუფის წევრი ბ-ნი კე...ვი. კებუროვს იქ ჰაერში ...შეუსწავლია და, ჯგუფის ...მიღებულ ცნობით, პილოტის ...ომიც მიუღია. ბ-ნი კებუროვი ...ისში ამ დღეებში დაბრუნ...და თან მოიტანს ბლერიოს ...მის ჰაეროპლანს, რომლითაც ...ის სექტემბერში ტფილისში ...ნდება.

**ლექცია ხოლერაზე.** კვი... 15 აგვისტოს ექიმმა ს. ი. ...მ ქართულად ლექცია წაი...ს ხოლერაზე. ლექციას ხალხი ...მად დაესწრო.

**კონცერტი.** 18 აგვისტოს დ. ...მში თამარა ძნელაძე და ვანო ...ჯიშვილი კონცერტს გამართა... სურამიდან გაემგზავრებიან ქუ...ს, სადაც აგრეთვე კონცერტს ...თავენ 21 ან 22 აგვისტოს.

**შავი ჭირის მოლოდინში.** ...ან ტფილისში ხმა გავრცელდა ...მში შავმა ჭირმა თავი იჩინაო, ...ომ ტფ. ქალაქის მოურავის ...გილე ა. ი. ხატისოვი დეპეშით ...ოთხა ბათუმის ქალაქის თვით...თველობას, მართალია თუ არა ...მებიო. დეპეშის პასუხი ჯერ არ ...ულა.

**უპასპორტონი.** საერთო ჩხრე...დროს ქალაქის სხვა და სხვა ...ში პოლიციამ შეიპყრო: 14 ...სტოს—50 უპასპორტო, ხოლო ...აგვისტოს—27.

**ხოლერიანთა რიცხვი:** სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 14 აგვისტოს დილის 9 საათიდან 15 აგვისტოს დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 2 კაცი, ხოლერის ნიშნებით—2. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო—22 ავადმყოფი, მოემატა—3, მორჩა და გამოეწერა—3, დარჩა—22.

15 აგვისტოს დილის 9 საათიდან 16 აგვისტოს დილის 9 საათამდე ხოლერით ავად გახდა—4 კაცი, ხოლერის ნიშნებით—3. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო—22 ავადმყოფი, მოემატა—1, მორჩა და გამოეწერა—5, გარდაიცვალა—2, დარჩა—20.

**მუსიკალურ საზოგადოებაში.** სახალხო სახლთან არსებულმა მუსიკალურმა საზოგადოებამ ამ ზაფხულს რამდენსამე საგარაკო ადგილას საღამოები და სეირნობები გამართა. როგორც გადმოგვცეს, წმინდა შემოსავალი საზოგადოებას 300 მანეთამდე დარჩენია.

## ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა

16 აგვისტო შავად გაუთენდა ქართულ სცენას. მოაკლდა ერთი საუკეთესო მარგალიტთაგანი, რაც მის ჯილდს ამშვენებდა. ქართულ თეატრს აღარა ჰყავს თავისი ნატო. ვისაც ქართულად ენა აუდგამს და ცოტად თუ ბევრად მოზიარე გამხდარა ჩვენის კულტურისა კარგად იცის თუ რა დავკარგეთ ნატოს სიკვდილით. 30 წელიწადზე მეტია, რაც იგი დარაჯათ ედგა ჩვენს ხელოვნებას, უმაღლესი ნიჭით მომადლებული და სულით და გულით გატაცებული ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს. ვინ იცის, რა ტანჯვა, რა წვალება, რა დამცირება გამოუვლია ჩვენს მსახიობთ და მათ შორის ნატო გაბუნიას, მაგრამ ყოველივე ეს მხნედ აუტანია საყვარელ საქმის გულისათვის.

ნატო იყო ერთი ვეტერანთაგანი ჩვენი სცენისა. სათავეში ედგა ქართულ თეატრს თითქმის დღიდან მის დაარსებისა. ნატოს გულმა მთელის არსებით შეიყვარა ჩვენი თეატრი და იგი წმინდა სანთელივით მსხვერპლად შეეწირა მას. ეგ ცოტაა. სხვებთან ერთად აღამაღლა იგი—უჩვენა და დაუმტკიცა მთელს ქართველობას, რომ თეატრი—ტაძარია, წმიდათა-წმიდა, რომელსაც დიადი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ჩვენს ცხოვრებაში. ნატომ თავის მოელვარე ნიჭით შეაყვარა ქართველობას თეატრი, შეაჩვია იგი სცენას და შექმნა მჭიდრო აუდიტორია ქართულ წარმოდგენას მოწყურებული.

ნატო, როგორც მსახიობი, როგორც მხატვარი—იშვიათი მოვლენა იყო. ეგეთი დიდ ბუნებოვანი ადამიანები იშვიათად იბადებიან, განსაკუთრებით ჩვენში და თუ იბადებიან მათ აქ მოღვაწეობის ბედი არ უწერიათ...

ჩვენი ცხოვრების მეტად უფერულ ატმოსფერაში შემოშუქებული ვარსკვლავი დღეს ჩაესვენა—იგი აღარ გაანათებს გარემო წყვდიადს. ეს მოხდა, მაშინ, როდესაც არამც თუ ესეთი მაცხოველებელი მზე, არამედ პაწია პატრუქის სინათლეც სანატრელია ჩვენი სცენისთვის. სხვა რაღა დაგვრჩენია—უნდა ვიგლოვოთ და ვიტიროთ. დაე ნატოს მაგალითმა ძალა შეჰმატოს, მხნეობა მისცეს იმათ, ვინც ამ მძიმე სარბიელზე მოღვაწეობს.

შენთვის კი—უკვდავო მხატვარო, რაღა ეთქმის შენს სამშობლოს უგულითადეს და ულრმესი მადლობის მეტი, იმ ცხოველ მყოფელ ნეტარ დროსთვის, როდესაც შენი სიცილ კისკისი — ათასფრად მოელვარე, ცრემლში გახვეული, აწ უკვე დადუმებული, სიამეს ჰგვრიდა მაყურებელს და უმსუბუქდება მწარე სიცოცხლეს ათასგვარ ჭირ-ვარამისგან მოწამლულს.

შენი სახელი უკვდავი იქნება ვიდრე არსებობს ქართული ენა და ქართული სცენა. საუკუნეთა წყვდიადში დაინთქმება შენი სხეული. ხოლო სული შენი აქ დარჩება და გაგვამხნევებს. სახელი შენი არ წაიშლება სამარადისოდ.

ბაკო ფხლავა

## წერილი პარიზიდან

17 (4) აგვისტო.

შესანიშნავი გაჯიბრება ჰაეროპლანებისა „Cireuit de l'est“ გაზეთ „მატენის“ მიერ გამართულ დღეს 17 აგვისტოს დასრულდა სამაგალითო გამარჯვებით საფრანგეთისა და კაცობრიობისათვის. ამ საავიაციო კურსით გამოწვეული ენტუზიაზმის აღწერა შეუძლებელია. ათი დღეა რაც აღტაცებულ საფრანგეთის და მთელი ევროპის პრესის თითქმის ერთად ერთ სალაპარაკო საგანს ეს სასიქადულო გაჯიბრება ჰაეროპლანებისა „აღმოსავლეთის შემოფრენა ჰაეროპლანებით“ (Ciruit de east eu aeroplane“) შეადგენს. ავიატორებს აღმოსავლეთით უნდა შემოევლოთ წრე სიდიადით 790 კილომეტრი, რომელიც ექვს ეტაპად იყო დაყოფილი. პირველი ეტაპი, პარიზიდან ტროიმდე შეადგენდა 140 კილომეტრს; მეორე ეტაპი, ტროიდან ნანსამდე—160 კილომეტს; მესამე ნანსიდან მეზიერ-შარლევილამდე—160 კილომ. მეოთხე ეტაპი მეზიერიდან დუემდე—139 კილომეტრი; მეხუთე დუედან ამიენამდე—80 კილომეტრი; მეექვსე—ამიენიდან პარიზამდე—120 კილომ. წესდების თანახმად, საავიაციო კურსი უნდა დაწყებულიყო 7 ს პარიზიდან გაფრენით და გათავებულიყო 17 აგვისტოს ექვსი ეტაპის შემოვლის შემდეგ პარიზში. პირველი ჯილდო, გაზეთ „მატენის“ მიერ დანიშნული ერგებოდა იმას, ვინც ყველაზე ნაკლებ დროს მოანდომებდა მთელ ამ წრის შემოფრენას. ყველა ეს შესრულებულ იქმნა ისე რომ არავითარი უბედურება, ეგრე ხშირი სხვა დროს, არ მომხდარა.

„Cireit do l'ests“-ში მონაწილეობის სურვილი განაცხადა 35 კაცმა, მაგრამ ამათგან მარტო ორმა ავიატორმა მიიღო მონაწილეობა ყველა ეტაპებში, ოთხმა სხვამ კიდევ სხვა და სხვა ეტაპებში ცალ-ცალკე დანარჩენებმა უარი სთქვეს კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე.

7 ს აგვისტოს პარიზის აეროდრომიდან (ისსი ლე მულინოში) დილის ხუთს საათზე გაფრინდა ლებლანი ბლერიოს მონოპლანით და 1 საათ. და 32 წუთის შემდეგ მოვიდა ტროვს და სავარჯიშო მინდორზე დაეშვა. ლებლანს მიჰყვა იბრენი ბლერიოსავე მონოპლანით და 1 ს. 37 წ. შემდეგ ტროიში გაჩნდა. მესამე მონაწილე ლენდპენტერი ფარმ.ნის ბიპლანით 2 საათ. და 25 წ. მოუნდა. მეოთხე ლეგანიო ფორმანისავე ბიპლანით, ეს ფრანგების საყვარელი l'eftant fervillè 3 ს. 59 წ. მოუნდა. ვეიმანი—4 ს. 56 წ., მესამე—5 ს. 8 წუთს. მეორე ეტაპში, ტროიდან ნანსამდე, მონაწილეობა სამმა მიიღო. ლებლანი 2 საათ. 19 წუთს მოუნდა; იბრენი—2 ს. 27 წ.; ლეგანო 5 საათ. 8 წუთს. მესამე ეტაპის გადალახვაში 11 აგვისტოს სამმა მიიღო მონაწილეობა. 5 საათ. 31 წ. გამგზავრებული ალფრედ ლებლანი მივიდა 7 ს. 36 წ. შარლევილ-მეზიერში მიუხედავად იმისა რომ გზაში ქარმა გეოგრაფიული ქარტა წაართვა. 5 ს. 43 წ. გასული იბრენი, რომელსაც აგრეთვე საძაგელმა ქარმა ქარტა წაართვა, ჩამოდის შალონში, რჩება 40 წუთი, იქ მას ოფიცრები ქარტას უშოვნიან, რის შემდეგაც განაგრძობს გზას და ჩადის მეზიერ-შარლევილში 9 საათ. 27 წ. ლენდპენტნერი ცუდი ამინდის გამო გზაში რჩება და მიზანს ვერ აღწევს.

13 აგვისტოს დილის 3 ს. 55 წ. გაემგზავრა ლებლანი მეოთხე ეტაპის გადასაფრენად და 6 საათსა და 14 წუთს ჩავიდა დუეს. მიუხედავად დიდის ქარისა იბრენი 2 ს. 19 წ. ჩავიდა დუეს.

15 აგვისტოს დუედინ დილის 5 ს. 6 წ. გზას გაუდგა მეხუთე ეტაპის გასავლელად იბრენი და 6 ს. 31 წ. მივიდა ამიენში. ლებლანი 5 ს. 11 წ. წასული ჩავიდა 6 ს. 19 წ. და მხიარული ლეგანიო ცოტა ხნის უკან იქვე გაჩნდა.

ამ ერთ კაცთა გარდა, საავიაციო კონკურსში არა პირდაპირ მონაწილეობა მიიღეს ოფიცრებმაც,*) რომელთაც ისეთივე გმირობა, გამბედობა და სიმარჯვე გამოიჩინეს, როგორც კონკურსში მონაწილეებმა. ისინი საკმარისად დახელოვნებულნი არიან პილოტობაში და სამხედრო ბიპლანებით დაჰფრინავენ ორ ორნი.

ყველა ზემოხსენებულმა ქალაქებმა მოაწყეს საავიაციო დღეები, სადაც განსაკუთრებულ ჯილდოებს ურიგებდნენ გამარჯვებულებს. მაგალითად, 10 აგვისტოს ნანსში, სხვათა შორის, იყო საზღვრის ჯილდო. ავიატორი ნანსიდან 20-ოდე კილომეტრის მანძილზე უნდა გაფრენილიყო მონსელში (ლოტორინგია. ყოფილი საფრანგეთის ქალაქი, ახლა გერმანიის ხელშია), და უკანვე დაბრუნებულიყო ნანსის საავიაციო მინდორზე. გულის ფანცქალით მოელოდნენ ფრანგი პატრიოტები იმას თუ ვინ გადალახავდა პირველად, ფრანგი თუ უცხოელი, გერმანიის საზღვარს, რომლის იმ ადგილას არსებობაც მათ მოსვენებას არ აძლევს.

*) 30-მდე პილოტი-ავიატორი ოფიცერია ამ ჟამად საფრანგეთის ჯარში.

და მათდა სასიხარულოდ საზღვარი მათმა მხიარულმა, გულადმა ლეგანიომ გადაიფრინა და 10,000 ფრანკიც ჯილდოდ მიიღო. ლეგანიოს მიჰყვნენ ლეიტენანტები ფეკანი და კამერმანი, თავიანთი ბიპლანებით. ფეკანმა მგზავრად გენერალი მონური წაიყვანა, რომელსაც ძალიან ჰსურდა გამოეცადა, თუ რას იგრძნობდა. ეს დღე, პატრიოტიზმის დღე იყო. სამხედრო მუსიკა მარსელიეზის ხმებით ეგებებოდა ოფიცრებს. ამას მოჰყვა სედანის მოგონება (ლებლანმა და იბრიენმა ზედ გადაიფრინეს). ავტომობილით შარლევილში მიმავალი „მატენის“ ერთ-ერთი რედაქტორი ბატ. ლერუ მიადგა იმ სახლს სედანში, სადაც 2 სექტემბერს 1870 წ. ნაპოლეონ მე-III ემ გადასცა თავისი ხმალი იმპერატორს ვილჰელმს, და თვალ-ცრემლმა ინახულა იგი.

ამნაირად, წინასწარ განზრახვის თანახმად, ეს დიდებული ტრიუმფი მეცნიერებისა, ტეხნიკისა, ინდუსტრიისა, ფრანგის პატრიოტებმა თავიანთ საქმისთვისაც მშვენიერად გამოიყენეს.

საზღვარზე გადაფრენის გამო გერმანულმა გაზეთმა „სტრასტბურგერ პოსტი“-მ მკაცრი მუქარა მოათავსა და თოფის სროლას უქადდა საზღვარზე გადასულს აეროპლანებს. ამ მუქარმა ყველა ევროპიული გაზეთი აალაპარაკა მიმართულების გაურჩევლად. რა თქმა უნდა, შოვინისტმა გაზეთმა ძალიან ბევრი საყვედური მიიღო. მას მოაგონეს, რომ საფრანგეთის ტერიტორიაზე არა ერთხელ გადმოსულან გერმანიის სამხედრო ბალონები, თითქოს აღმოსავლეთის ქარის მიერ ყოფილიყვნენ გადმოსროლილებიო.

მართალი უნდა ითქვას, რომ ჰაეროპლანების, „ჰაერზე უფრო მძიმეს“ საქმეში გერმანელებს ბევრად ნაკლები ღვაწლი მიუძღვით და ავიატორებიც ნაკლებადა ჰყავთ. გული მოსდით, როდესაც ფრანგების პილოტებს და კონსტრუქტორებს ხოტბას ასხავენ, აქებენ ფრანგთა ინიციატივას, გამბედაობას და სხვ.

დღეს, ისე როგორც 7 აგვისტოს ისსი დიემულინოს საავიაციო მინდორს დილის 5 საათისთვის აუარებელი პარიზის ხალხი მოაწყდა. დიდი და პატარა, მუშა და ბურჟუა, ინტელიგენტი, ქალი, კაცი, სადღესასწაულოდ გამზადებული, მხიარული, სალამით, ქუდების ქნევით, ტაშის ცემით და ყვირილით მიეგება გამარჯვებულ ავიატორებს.

6 საათსა და 43 წ. გამოჩნდა ჩიტის ოდენად ლამაზი მონოპლანი ლებლანისა. ეს თეთრი ფრინველი ცნობილის ბლერიოსი და 6 ს. და 45 წ. მოხდენილად მიწაზე დაეშვა. ამიენიდან ის 5 საათ. 3 წ. გამოსულიყო. 7 ს. 1 წუთ. იბრენის ბლერიო გამოჩნდა და უფრო მშვენივრად და ლამაზად დაეშვა მინდორზე 7 საათზე და 3 წუთზე.

ამნაირადა, ლებლანი და, იბრენი, ეს ორი განუყრელი მოძმე და მოქიშპე, ყველა ეტაპ გავლილნი დაუბრუნდნენ პარიზის ხალხს, რომელმაც ასე თბილად და ასე გულითადად მიიღო.

დიდი ჯილდოს მატენისაკე 100,000 ფრანკი ერგო გაბედულს ფრანგს ლებლანს, რომელმაც 790 კილომეტრი 11 საათსა და 56 წუთში გაიარა. იბრენმა, რომელმაც ესევე გზა 13 საათსა და 27 წუთში გაიარა მიიღო სხვა და სხვა ქალაქების მეორე ხარისხოვანი ჯილდოები.

11 საათ. 15 წ. გამოჩნდა ლეგანიოს ბიპლანი ამიენიდან 5 საათ. 32 წ. გამოსული, მოადგა საავიაციო მოედანს, სამჯერ შემოუარა და შემდეგ როდესაც ჩამოსვლა დააპირა ცოტა უცბად დაეშვა და მანქანა დაზიანდა. 11 ს. 50 წ. სამხედრო მუსიკა მარსელიეზის ხმებით ლიოტენან კამერმანს მიეგება.

ასე სასახელოდ დასრულდა ფრანგების საავიაციო დღესასწაული „Cireuit de l'est“ მთავრობის დახმარებით გამართული, ეს დიდებუ-

...შენი მწყალობელიც იყოს! ...გო მეუღლემ და შეეკითხა:

—იყო ვინმე ეკლესიაში?

—იყვნენ, კარგა ხალხი იყო. ...კი არ მოვიდა. ავად ხომ არ ...ხ? შენ რატომ აღარ მოხვედი, ...ო? შენ ადგილას იმედაანთ თა...ლა იდგა.

—ვერ მოვიცალე. ათასი საქმეა ...ში. ახლა ი ბლაღოჩინს უბრძა...ა მოსვლა და ოთახს ვალაგებ... იცრუა მართამ, რადგან ეხათ...ოდა ნამდვილი მიზეზი დაესახე...ბინა.

—მართა, მართა! ზრუნავ და ...თხარ მრავლისათვის, ხოლო ...ერთი არს სახმარ! მიუგო ღვ...ლმა სახარებას კილოთი.

მართას ეწყინა დაუმსახურებული ...დრება და თვალი გაუშტერა ...რს. კაცი ეხლა კი მიხვდა ნამ...ლ მიზეზს საყდარში წაუსვლე...ობისა, ღიმილით წარმოსთქვა:

—განწმიდე, მეუფეო, მხევალი ...შენი მწიკვლოვანებისაგან ხორ...ა! და გადასახა ჯვარი ცოლს.

...და რომ სიტყვა შეეცვალნა, ...ბრუნდა ბავშვებს:

—ზარის ხმა რომ გაიგონეთ, რა...მ არ წამოხვედით ლოცვაზე? ...ლა ულდლოდ აღარ შეიძლებოდა ...მოსულიყავით? არა ჰგეხართ ა...მ! ისე დარკვევით ჩააწკრიალა ...ტარარსი, რომ ყველას სასოება ...ჰგვარა.

იაკობ მღვდელი წირვა-ლოცვის ...სახებ სწორედ სასტიკი იყო. თი...ონ ულებლივ ასრულებდა საეკ...ლესიო წესს და სწყინდა, როცა ...მისი სახლობა ან მრევლი აკლდე...და წირვა ლოცვას და საყდარი ...მსე არ იყო ხალხით.

—ვაჟკაცები კიდევ შეიძლება მინდვრად იყვნენ ან ტყეში, გზაზე თუ სხვაგან და ამისთვის ვერ მოვიდნენ საყდარში, დედაკაცები კი სულ შინ არიან და მხოლოდ მცონარეობის გამო თუ დააკლდებიან ღვთის მსახურებას,—ამბობდა მოძღვარი.

თუ საადაგ დღეში ილოცავდა და სწირავდა, მაშინ მრევლისაგან არა თხოულობდა მოსვლას. სადა სცალიან ამისთანა დღეში გლეხკაცს?! კვირა-უქმეში კი უსათუოდ უნდა მისულიყო მრევლი და წირვა-ლოცვა მოესმინა.

—ღვთის მცნებას გადასდიხართ! ღმერთმა ბრძანა, ექვსი დღე იმუშავე, ხოლო დღე იგი მეშვიდე წმიდა ჰყვენო. შენც აასრულე! თავისუფლად ამოისუნთქე კვირა დღეს. დიაკვანი რომ კვირაძალზე ზარს ჩამოჰკრავს და დაარისხებს, ადე ხელი საქმეზე. ხარ კამეჩიც შეასვენე, რომ ღმერთი არ გაგირისხდეს და ხელი არ შეგახმეს მხარზედა,—სწრთვნიდა მოძღვარი მრევლს.

მღვდელმა ლოცვათ უკან შეისვენა მცირედ, წაიტეხა ლუკმა, მოიყუდა ლიტრა და შევიდა პატარა ოთახში. ეს ოთახი მისი სამლოცველოც იყო, მისი სამდივნოც. მას მხოლოდ ამ ოთახში შეეძლო განმარტოებულიყო და თავი გაეთავისწინებინა. ეხლა კი მისთვის თავი უნდა დაენებებინა ყველას. მხოლოდ გაჭირებაში შეიძლებოდა მისი გამოყვანა იქიდან, თუ ან საზიარებელი შეიქმნებოდა ვინმე, ან სხვა რამ აუცილებელი საქმე გამოჩნდებოდა.

—აღახვენ ბაგენი ჩემნი ლოცვად და გალობად, წარმართე გონება ჩემი ვედრებად შენდა, წმიდაო სამებაო! წარსთქვა ხუცესმა და შეუდგა ლოცვას მხურვალეს.

მთელი ღამე ლოცვაში გაატარა. შიგა და შიგ თუ ჩაეძინებოდა, ან ოჯახის დასათვალიერებლად გამოვიდოდა. კითხულობდა ლოცვებს ულებლივ, ხმით კითხულობდა ნელით: უყვარდა, როცა სასმენელი მისი სტკბებოდა საღმრთო სიტყვათა წყობილ მიმდინარეობით. ლოცულობდა მოძღვარი და თან აღტაცებაში შედიოდა.

— იესო ტკბილო, განკურნე სულისა ჩემისა წყლულებანი და დაატკბე გული ჩემი ტანჯული! — ამბობდა მღვდელი და გრძნობდა, როგორ ელებოდა გული ტანჯული და ეცხებოდა მას ნელსაცხებელი ტკბილმკურნებელი.

— სასოვო განწირულის სულისა ჩემისაო! შეწევნისა ხელი მიპყარ მე და მიხსენ სიღრმისაგან ბოროტისა! იტყოდა ხუცესი და გრძნობდა უხილავ ძალას, რომელი აღუპყრამდა მას ხელს და აღამაღლებდა დასათრგუნად ბოროტისა.

და ცვილის სანთლის შუქით ოდნავ განათებულ სიბნელეში მქრალად იხატებოდა დაღონებული სახე ტანჯულის იესოსი, თანდათან ირკვეოდა იგი სახე სანდომი და აწ თვალწინ ედგა ძე ღვთისა სანატრელი აღმღებელი ცოდვათა სოფლისათა.

— ვარდო ღვთივმშვენიერო, კეთილსუნნელოვანო მარიამ! მოიხილე ჩვენ ზედა სიხარულისა თვალითა, გვიხსენ ბნელისაგან ცოდვილი და აღმოგვიბრწყინე ნათელი საღმრთო! შეჰღაღადებდა ხუცესი დედოფალს.

და მშობელი ღვთისა ჩჩვილი ყრმით ხელში გამოჩნდებოდა მის აღტაცებულ ხედვის წინ, მიმოიძროდა ოთახის ბინდბუნდ ცაგში და განმამხნევებლად უღიმოდა მოძღვარს.

— ანგელოსო მცველო ჩემო! მაჰკირვებს მე მტერი და მასწავლის მარადის ყოფად თვისისა ნებისა. ნუ დამიტოვებ, წინამძღვარო ჩემო, და მტერნი ჩემნი სულიერნი აოტენ! ღაღადებდა ხუცესი.

და უკვე გრძნობდა ანგელოსის ფრთათა შრიალს, უკვე მოესმოდა მის გამახვილებულ ყურს ხმა გამამხნევებელი. გამოკრთაცა სიბნელიდან ნათელი სახე მცველისა და მახვილი იქცევისა ხელისა მისისა.

მოძღვარი უფრო და უფრო შორდება ცხოვრებას ქვეყნიურს და მის ამაოებას, მთელი თვისი არსებით ეძლეოდა სარწმუნებრივ აღტაცებას. მისი სხეულით თანდათან ჰაეროვანი ხდებოდა, გამჭვირვალე, მსუბუქი; იგი სხეული ეძარცვებოდა სულს და გრძნობდა სული ნეტარი თავისუფლებას, ეძლეოდა აღმაფრენას; აწ ცის სივრცეში ელვარებდა მსუბუქ ფრთა გაშლილი, უერთდებოდა ბრწყინვალე ანგელოსთა გუნდს და მათთან ერთად აღუვლენდა დიდებას მამასა მას ზეცათასა.

ძვირფასი იყო იაკობ მღვდლისთვის ეს წამები, დაუვიწყარი! იგი უკვე განიცდიდა საუკუნო ნეტარების აჩრდილს, რომლისადმი ისწრაფოდა სული მისი, იტყოდა მას გული განსვლად და ქრისტესთან ყოფად.

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

ლი გამარჯვება, სასიხარულო ყველასათვის რწმენის და მიმართულების განურჩევლად და საამაყო ფრანგებისათვის იმიტომ რომ, ყველა ფრანგები ავიატორები და კონსტრუქტორები.

სამინისტრო გაზეთმა „მატენმა" გაგვიმართა საუკეთესო სანახაობა, რომელზედაც შარშანწინ, შარშან ოცნებობაც არავის შეეძლო, რომელმაც მრავალი იმედი განამტკიცა და ფრთა შესხმული ადამიანის ძალა დაგვანახვა.

—

ამ ბოლო დროს ჰაეროპლანების ჰანგარებს მრავალი რუსი მოაწყდა. ჩამოდიან ოფიცრები, ჯარის კაცები და კერძო პირები. მრავლად ნახავთ აგრეთვე ჰაეროპლანის სასტატოებში (ჰანგრებში) ისეთს რუსებსაც, რომელნიც მთავრობის რეპრესიებს გამოექცევიან თითქოს იმიტომ რომ ერთს მშვენიერს დღეს რუსეთისავე მთავრობის სიამაყედ გადაიქცენ.

დიდი ერები, დიდი სახელმწიფოები ძლიერდებიან; მეცნიერება, ეს გულახდილი, მიუდგომელი და მასთან ცივი ჭაბუკი მათ მიერ პატივცემული, დღე-დღეზე ახალ-ახალ სასწაულებს აწვდის მათ. და რაც უფრო ძლიერდებიან დიდი სახელმწიფოები, მით უფრო საბრალო და სატირელი ხდება პატარა ერთა არსებობა.

რამდენადაც ვიცი, ჯერ ქართველი არავინ ჰფრინავს ჰაერში და არც გაფრინდება ახლო მომავალში. თუმცა ერთი ქართველი ბატონი ს. დავრიშევი სერიოზულად შეუდგა პილოტობის (ავიატორობის) შესწავლას ინჟინერ პატის მონოპლანზე ნიცით და მგონი კიდევ ერთი ქართველი უნდა სწავლობდეს, გვარად ერისთავი.

—

არ შემიძლია ორიოდე სიტყვით არ შევეხო ჟენევის სტუდენტთა საურთიერთო დამხმარე კასის გამგეობის წერილს, რომელიც თქვენს გაზეთში იყო მოთავსებული.

წერილის ავტორები დიდის ამბით აცნობებენ საქართველოს, რომ ჩვენს კარჩაკეტილობას, ევროპიელების მიერ ჩვენს უცნობლობას ბოლო ეღება... ქალბ. სკარჟინსკის წყალობით... და ეს წყალობა გახლავთ... გახლავთ კავკასიური, ანუ როგორც თავათ ამბობენ ქართული განყოფილება ქ. ლოზანის მომავალ რუსულს მუზეუმში, რომლის ვახსნასაც ქალბატონი სკარჟინსკი აპირობს*) ჟენეველი სტუდენტები გვაცნობებენ აგრეთვე, რომ მათ მიმართეს ქართ. შორის წერა კ. გ. ს. გამგეობას რათა გულით მოეკიდონ ამ საქმეს. ყველაფერი კარგი და პატიოსანი, მაგრამ არ შეიძლება ვიკითხოთ; რა გვარად უნდა დაეხმაროს წ. კ. ს. ხსენებულს მეცენატ ქალს ქართული განყოფილების მოწყობაში? ხომ არ ჰსურთ რომ ის ერთად ერთი ეროვნული სიმდიდრე, ის მცირეოდენი ისტორიული განძები, რომელსაც წ. კ. ს. ინახავს და რომელნიც მრავალწლობით საოცნებო და სანატრელ მომავალ ქართულ ეროვნულს მუზეუმს დაამშვენებენ, რომ ეს საუნჯენი აიღონ და ქ. სკრაჟინსკის გაუგზავნონ? თუ ქ. ს—იმ საჭირო თანხა გაუგზავნა ქ. შ. წ. კ. გ. ს. და კომისიონერობას აძლობს ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ნაშთთა შესაძენად? ან ისეთი რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ქართულს განყოფილებას რომელიმე ევროპის მუზეუმში და ისიც პაწია ქალაქ ლოზანში სადაც, მართალი მოგახსენოთ, მუზეუმების დასათვალიერებლად არავინ მიდის, ვიღაც რუსი ქალის კერძო მუზეუმში, რომ უცბად ჩვენს კარჩაკეტილობას ბოლო მოეღოს და მთელი ევროპა ჩვენზე ალაპარაკდეს? როგორ? რას უნდა ვსცდილობდეთ? იმას რომ ჩვენი ეროვნული განძები საქართველოშივე, ქართულს მუზეუმებში ინახებოდეს, თუ საქართველოდან სხვა ქვეყნებში გავიტანოთ ის, რაც გადაურჩა საუკუნოებითს აწიოკება აკლებას, ცეცხლსა და მახვილს, შემოსულთ თუ მეგობრად შემოპარულს ვაჟბატონებს.

მე მგონია, რომ მანამ პატივცემული ჟენევის სტუდენტობა ამ საკითხს გადასწყვეტდა ზემოხსენებულ კითხვებზე უნდა ეპასუხნა. საზოგადოდ, ძალიან სასიხარულოა, რომ ჩვენი ახალთაობა, ზრუნავს და ინიციატივას ჩანასახს იჩენს ეროვნულს საქმეებისადმი, მაგრამ ასეთი მუზეუმების გამოკიდება, მაშინ როდესაც ქონებრივად სრულიად უზრუნველყოფილის ჟენევის ქართულ ბიბლიოთეკას, ამ მართლაც და ეროვნულს და მნიშვნელოვანს საქმეს დაუდევრობისა თუ სხვა მიზეზების გამო უმოწყალოდ ბოლო მოუღეს ვერ გამიგია. ქ.

*) სხვათა შორის, საჭიროა ვიცოდეთ, რომ ჯერ-ჯერობით მისგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო თვისი ქონება ქ. სლსკის განკარგულებაში არ არის.

# მოწერილი ამბები

**ბათუმი.** თუმცა ფრთხილობდა ბათუმი, მაგრამ ხოლერამ მაინც თავისი გაიტანა და აქაც გვეწვია. ამ თვის დასაწყის გავრცელდა ხმა ვითომც რამდენიმე კაცი გახდა ავად და ზოგი მათანიც გარდაიცვალაო. მაგისი კი რა მოგახსენოთ და აგვისტოს 8 ბათუმის საავადმყოფოში, ბათუმის ახლო მდებარე ბ-ნ დეპრეისის აგარაკიდან მიიყვანეს ხოლერის ნიშნებით ავადმყოფი მუშა მუსტაფა იუსუფ კალანჯი ოღლი. მეორე დღეს ავად გახდა ელენე ბეიკე, რომელიც ბათუმის საავადმყოფოში იყო მოთავსებული. 10 აგვისტოს ავად გახდა დარია კლემენტიევი, რომელიც საავადმყოფოში მოთავსების რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა. ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევამ ნამდვილი ხოლერის ვიბრიონები აღმოაჩინა. 11-ში ძლივს გახსნეს ხოლერის ბარაკები და პირველი ორი ავადმყოფი გარდაიყვანეს. მიცვალებული კარგ დეზინფექციის შემდეგ თუნუქის კუბოში ჩაასვენეს და ისე დამარხეს. სამხედრო საავადმყოფოშიც წვანან ხოლერით ავადმყოფნი ჯარის კაცნი. თქვენი მტერი, თუ აქაც მაგრად მოიკიდა. ფეხი ამ სენმა ცუდს დღეს დააყენებს ისედაც დადატაკებულს მცხოვრებთ. აქ სანკრძლივმა და ხშირმა წვიმებმა მოსავალს ავნო. სწორედ ახლა ციების სეზონიც დაიწყო და დარიბს რა ციება და ხოლერა შეხვდეს რა გადაარჩენს.

ბათუმი დღით-დღე უკან-უკან მიდის ნავთის ქარხნების დაკეტის შემდეგ. ვაჭრობა ხომ სულ დაცემულია. დღისით ბათუმის ქუჩებში აქა იქ ნახავთ ხალხს საღამოთი კი ბულვარში რომ გაიაროთ ნახავთ უსაქმო-მცონარა ყმაწვილ კაცობას რამდენიც ეარშიყებიან თავიანთსავე უსაქმო ქალებს. საბრალოებს საქმის უნარი დაკარგვიათ და ასე უაზროდ ატარებენ ახალგაზრდობას. ასეთ უსაქმურობისაგან ვერც მშობელი ნახავს ხეირს და ვერც სხვა, დროა ახალგაზრდობამ მიჰყოს ხელი გონივრულ და საქმიან ცხოვრებას.

ბათუმი თითქმის მზად არის შავს ჭირთან საბრძოლველად. აქ მზათაა შავი ჭირისთვის მომზადებული ბარაკები ასე რომ პირველ შემთხვევაზედვე გაადებენ. დღემდე ხოლერის ბარაკებში ოთხი ავადმყოფი წევს.

**ირა ეფენდი კალი-ოღლი.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქ. სიღნაღი.** 11 აგვისტოს სიღნაღს ეწვია საკონცერტოთ ახალგაზრდა მომღერალი ი. სარაჯიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ აფიშები გვიან გააკრეს, მაინც ხალხი ბლომად დაესწრო მომღერლის მოსასმენათ. სარაჯიშვილს თან მოჰყვა ჯერ სულ ახალგაზრდა და ჩვენ საზოგადოებაში არ ცნობილი ვიოლონჩელზედ დამკვრელი ბ. ყარანგოზიშვილი, რომელიც თურმე ჯერ ერთი წელიწადია, რაც პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლობს. სარაჯიშვილის სიმღერა ძლიერ მოეწონა ხალხს. საშუალო ძალას, მაგრამ რბილი, ხავერდივით ნაზი მისი ლირიკული ტენორი მართლაც რომ მოსაწონია; ამასთან-სათანადო მუსიკალური ტემპერამენტი, რომლითაც იგი აღჭურვილია იზიდავს მსმენელს. მეტადრე ძლიერ კარგად შეასრულა ქართული რომანსი ბ. ჩივაძისა „ოდესაც გიცქერ". ბოლოს ზედმეტათ იმღერა ურმული, რომელსაც ჩემის აზრით, სწორედ არ მღერის; რასაკვირველია ეს იმითი აიხსნება, რომ ურმული ნოტებზედ ძნელი გადასაღებია და ან თუ არის გადაღებული ალბათ აკლია კიდევ ჰანგები. არ შემიძლიან არ აღვნიშნო ერთი არა სასურველი მხარე მისი საკონცერტო პროგრამისა: თითქმის არც ერთი ქართული სიმღერა და სულ რუსული და იტალიური. პირიქით კარგი იქნებოდა, რომ სამშობლო ადგილებისთვის მას ჰქონდეს შედგენილი ისეთი საკონცერტო პროგრამა სადაც ქართული სიმღერები უნდა სჭარბობდნენ. ამას ყოველთვის მოახერხებს, თუ გულით მოინდომა და სხვა ჩვენი მემუსიკეები დაიხმარა სიმღერების ნოტებზედ გადასაღებად. რაც შეეხება ახალგაზრდა ყარანგოზიშვილს, იგი თავის დროის შესაფერად კარგად უკრავს, ცოტა გრძნობა აკლია. საერთოდ კი რომ თავი შეიკავოს ამას იქით, და ვიდრე კარგათ არ გამაგრდება არ გამოიდოდეს საზოგადოებაში მისთვის უფრო საბოლოდ კარგი იქნება. ეს დებულება მისი დაწუნებით არ მოგვდის, არამედ ეს არის ჩვენი რწმენა და სურვილი, რომ ქორფა ნიჭს თან უნდა ახლდეს მოკრძალება და სიდინჯე. **ძველელი.**

—

**სინემატოგრაფი.** თავ. აზნაურთა საზაფხულო თეატრში კარგა ხანია სინემატოგრაფია გამართული აჩვენებს სურათებს თითქმის ყოველ საღამოს ალსანიშნავია ის გარემოება, რომ სურათები თითქმის დაძველებულია, რაც სხვა სინემატოგრაფებმა ამ ორი წლის წინად აჩვენეს ხალხს იმის გამეორება ეხლა მისაწყენია. საჭიროა მხედველობაში მიიღონ, რომ ხალხის დასაინტერესებლად ახალ-ახალი უფრო შინაარსიანი სურათებია საჭირო.

—

**ქართულ თეატრი.** ქართ. დრამ. მუდმივ დასში ჯერჯერობით ირიცხებიან ქალნი: ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ა. ლოლუა, მ. მდივანი, ე. ჩერქეზიშვილი, მ. ქიღარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი. პ. შოთაძე. ვაჟნი:— ვლ. ალ.-მესხიშვილი (რეჟისორი). ბ. ბეგლარიძე, (სუფლიორი), ზ. ბერიშვილი (სცენარიუსი), ვ. გუნია (ადმინისტრატორი), ი. გრიშაშვილი (სუფლიორი), ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, გ. იმხელი, ვ. მატარაძე, დ. მკალობლიშვილი, ბ. მდივანი, კ. მესხი, ვ. შალიკაშვილი (რეჟისორი).

დროგამოშვებით მოწვეული იქნებიან ის მსახიობნიც, რომელნიც კერძო სამსახურში არიან: ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი და კ. მათიაშვილი. საგასტროლოდ მოწვეულ იქნებიან ა. ჩირგაძე ნ. ჩხეიძე და სხვანი.

დასში მონაწილეობას მიიღებენ აგრედვე თანამშრომელნი—ქალნი და ვაჟნი. („თ. ც.")

—

**სეირნობა პატარა ცემში.** დღეს, ექიმ ვახტანგ ღამბაშიძის სანატორიუმში ქ. შ. წ. კ. საზოგადოების სასაგებლოთ გაიმართება სეირნობა—სალიტერატურო განყოფილებით. სეირნობის დრო ისეა განსაზღვრული, რომ საზოგადოებას შეუძლიანთ მატარებლებით დაბრუნდნენ—ბაკურიანს, ცემს და წაღვერს.

# სპორტი

**ქართული ჭიდაობა.** კვირას, 15 აგვისტოს, დიდუბეში გაიმართა ქართული ჭიდაობა. იჭიდავეს კულა გლდანელმა და ევროპიელმა მოჭიდავემ სილვისტრო პეტერსონმა. კულა გლდანელმა მარცხენა სარმით ორ წუთში დასცა პეტერსონი, რომელმაც 100 მ. სანაძლეო მოიგო. საგარეჯოელმა მიხაკო ქურხულმა წააქცია სიკო ხითარიძე; ვასო ცალქალამანიძემ და შაშუა ვერელმა დიდხანს იჭიდავეს. როგორც ეტყობოდა უფრო ცალქალამანიძე სძლევდა, მაგრამ მაინც ვერცერთმა ვერ გალახა და გააშველეს; საგარეჯოელმა ნიკამ წააქცია ამირანა ლეკიშვილი, გორელმა გიორგი დოთიაშვილმა წააქცია ლადო მირაძე. სხვა მოჭიდავეებმაც ბევრმა კარგად იჭიდავეს.

—

**ფრანგული ჭიდაობა.** კვირას, 15 აგვისტოს იჭიდავეს შემდეგმა ფალავნებმა: შავნილაბინმა და მატუშენკომ. პირველმა დასცა მეორე. პეტერსონმა დასცა აპალონი, 18 ნახევარ წუთის განმავლობაში. ხოლო მიხელ მაიერმა (ავსტრიის ფალავანი) დასცა ბერლინის ფალავანი რეიბერი. შემდეგ გამოვიდა გამოჩენილი ფალავანი წითელ ნილაბიანი და მსოფლიო ფალავანი იანუშ ნაჯი. ჭიდაობამ კარგა ხანს გასტანა. უფრო წითელ ნილაბიანს, ეტყობოდა სიმკვირცხლე და მაჯის ძალა. ბოლოს წითელ ნილაბიანმა დასცა მსოფლიო ფალავანი იანუშ ნაჯი, რითაც ხალხში დიდი აღტაცება და ტაში გამოიწვია.


# განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. **ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—163

## დოქტ. ნავასარდიანისა

უოველ დღე, კვირებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმაცი:** 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**თ. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

## კატალოგი

**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიის. № 3.**

I

სასულიერო შინაარსის წიგნები.

1. იოსელიანი გ. საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა, სურათებით, ტფ. 1909 წ. 40 კ.
2. მისივე ლოცვანი ტფ. 1910 წ. 20 „
3. ძველი აღთქმა, ხუთი წიგნი მოსესი ტფ. 1900 წ. . . . . 50 „
4. ფსალმუნი. ტფ. 1901 წ. . . . 10 „
5. ახალი აღთქმა. სახარება, საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი. ტფ. 1879 წ. . 40 „
6. სახარება.

II

მოთხრობები, ლექსები, პიესები.

7. აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული. ტფ. 1903 წ. . . . 40 „
8. ანდრეევი ლ. ადამიანის ცხოვრება. ტფ. 1907 წ. . . . . 50 „
9. ბარათაშვილი ნ. ლექსები, „სორაპანის" გამოცემა. ტფ. 1910 წ. 10 „
10. გვარამაძე ივ. თამრო ჰარამხანაშია, გურიის ცხოვრებიდან. ახალციხ. 1906 წ. . . . . . 20 „
11. გლახაშვილი ს. წყურვილი, დრამა 3 მოქ. 4 სურ. ტფ. 1910 წ. 30 „
12. გიგაური. ლექსები. ქუთ. 1908 წ. 20 „
13. გიოტე, ფაუსტი. დრამატ. პოემა. ნათ. ჰ. მირიანიშვილისა. ტფ. 1909 წ. . . . . 1 მ. 25 „
14. დუტუ-მეგრელი. წიგნი I ლექსები, ტფ. 1909 წ. . . . . . 70 „
15. ერისთავი გ. გაყრა, 4 მოქ. კომედია. გამოც. „სორაპანისა". . 5 „
16. ვაჟაფშაველა. ცრემლები. 1909 წ. 50 „
17. ზღაპრები II, ქალთა წრის გამოცემა. . . . . . 1 მ. 30 „
18. თუთაევი ალ. ქართული პიესები ტფ. 1909 წ. . . . . . 20 „
19. იერეთელი პ. დამარცხებულნი, დრამა 5 მ. ტფ. 1908 წ. . . 30 „
20. მისივე ქრისტინე, დრ. 5 მოქმ. ტფ. 1909 წ. . . . . . 20 „
21. Избранныя стихотворенія А. Церетели, съ предисловіемъ А. Хаханова. Моск, 1908 г. . . . 20
22. მოლიერი. დრამატ. თხზულებანი. გამ. „სორაპან-სა". ტფ. 1909 წ. 50 „
23. ნიშადგ. კრებული. ტფ. 1909 წ. 15 „
24. ნავთლუღელი შ. შრომის დროს ამონაკვნესი. ლექსები. ტფ. 1908 წ. . . . . . . 3 „
25. ნინოშვილი ე. ბალიასტომბის ტბა. ტფ. 1909 წ. . . . . . 5 „
26. მისივე ჩვენი ქვეყნის რაინდი. ტფ. 1909 წ. . . . . . 20 „
27. მისივე გოგია უიშვილი. ტფ. 1909 წ. . . . . . . 5 „

## მატარებლების მიმოსვლა
### 18 აპრილიდან 1910 წ.

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისკენ:** N 1, სწრ.—საღ. 11 ს. 28 წ.
N 3, საფ-ს.—დღ. 1 ს. 24 წ.
N 5, სამგზ.—საღ. 7 ს. 31 წ.
**ბაქოსკენ:** N 2, სწრაფ.—დილ. 8 ს. 15 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 10 ს. 4 წ.
N 12, სამგზ.—დღ. 2 ს. 38 წ.
**ბორჯომისკენ:** სამგზ.—დილ. 8 ს. 28 წ.
სამგზავ.—დღ. 3 ს. 36 წ.
**ჯულფისკენ:** საფოსტო—ღამ. 12 ს. 22 წ.
**ერევნისკენ:** სამგზავრო—დღ. 4 ს. 15 წ.

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** N 2, სწრ.—დილ. 7 ს. 25 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 9 ს. 4 წ.
N 6, სამგზ.—დილ. 11 ს. 4 წ.
**ბაქოდან:** N 1, სწრფ.—საღამ. 10 ს. 36 წ.
N 3, საფოს.—დღ. 12 ს. 24 წ.
N 1. სამგზ.—დილ. 6 ს. 58 წ.
**ბორჯომიდან:** სამგზ.—დილ. 6 ს. 28 წ.
სამგზ.—საღამ. 8 ს. 08 წ.
**ჯულფიდან:** საფოსტ.—დილ. 6 ს. 8 წ.
**ერევნიდან:** სამგზავ.—დღის. 6 ს. 33 წ.

## დაბა ხონში

**ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ხონის განყოფილების**

## წიგნის მაღაზიაში

იყიდება ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები, ახალი წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და საკანცელარიო ნივთები. მაღაზია საკომისიოდ ღებულობს წიგნებს და კისრულობს გამომცემელთა ამხანაგობას.

მაღაზიას უკვე დაკვეთილი აქვს სამოსწავლო წლისათვის საჭირო წიგნები და რვეულები და ამ მხრივ ადვილად შეუძლია ხონის რაიონის დაკმაყოფილება

**საყმაწვილო სურათებიანი ჟურ[nal]**

## „ნაკადულ[ი]"

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან წლის პირველ იანვრამდე მიეცემა მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მ[ოზრდი]ლთათ

გარდა ამისა მიეცემა პრემიად **შვო უნივერსიტეტი** (სამეცნიერო-[პოპუ]ლიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისა[თვის]) 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვ[ლავი]»—ზღაპარი ევალდისა; 2. «მარჯნ[ის ...]» ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი ..." ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული ... რული ასოები კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთ[ი მა]ნეთი, ნახევარი წლით ორივე გამო[ცემა] სამი მანეთი; საზღვარ-გარეთ: წლი[ურად] —შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთ[ათვის] 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთ[ათვის] 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილ[ისში] „ნაკადულის" რედაქციაში (გოლო[ვინის] პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის [გამავ]რცელებელ საზოგადოების მაღა[ზიაში] თავად-აზნაურთა ქარვასლაში).

◀ **სამეურნეო ჟურნალი** ▶

## მოსავალ[ი]

**წელიწადი მეორე**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წ[ლის]თვის. ჟურნალი გამოვა იმავე პ[რო]გრამით. რედაქცია ჰპირდება ... ხელის მომწერლებს **რჩეულ** მ[ცენა]რეების **საუკეთესო თესლის** ზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურ[ნა]ლის ხელის მომწერლებს წლის ... ლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფას[ოდ]** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნ[ეო]ბის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Ба[...]тинская 5. Редакція „Мосавал[и]"

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი

## „ერი და კაცობრიობა"

კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წ[იგნი] შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებ[ელ] საზ. წიგნის მაღაზიას.

**ადრესი:** Тифлисъ, Общество распространенія грамотности с[реди] Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—39

მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურს და სალიტერატურო

ჟ უ რ ნ ა ლ ს

## „განათლება"-ზე

(წელიწადი მეხამე)

ჟურნალი გამოდის წელიწადში ათჯერ. ექვსი ნომერი უკვე გამოვიდა და გ[ა]გზავნა ხელის მომწერლებს. ამ ჟამად იბეჭდება სექტემბრის ნომერი, რომელიც გ[ა]მოვა 1 ენკენისთვეს. ჟურნალი მოზრდილი ფორმატისაა, თითო ნომერი შეიცავს ს[ა]ბეჭდურს თაბახს. წლიურად ღირს **სამი მანეთი** გ-გზავნით, სოფლის მასწავლებელ[თა]თვის **ორი მანეთი.** ჟურნალის დაკვეთა შეიძლება—„წერა-კითხვის საზოგადოებ[ის] წიგნის მაღაზიაში"—**ივანე ავალიშვილთან,** „ნაკადულის" რედაქციაში და კერ[ძო] აგენტებთან.

**მისამართი:** Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназ[ія] Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

## დასურათებული ასაწყობი ანბანი კუბიკებზ[ე]

(„ნ ა კ ა დ უ ლ ი ს" პ რ ე მ ი ა).

შემუშავებულია ცალკე კომისიის მიერ პედაგოგებისაგან, მოკლე ხანში და[მ]ზადდება და დაურიგდება პრემიად „ნაკადულის" წლიურ ხელის-მომწერთ[ათვის] რადგანაც ამგვარი ანბანის მოთხოვნილება ქართულ ოჯახებში დიდია, ამ[ი]ტომ რედაქციას სურვილი აქვს დახმარება გაუწიოს საზოგადოებას ... დაოთს მსურველთ, არა ხელის-მომწერთ, ეხლავე დაიკვეთონ, რადგანა[ც] ვეხსრქცია გასასყიდად დასურათებულ ანბანს კუბიკებზე ვერ დაამზადებ[ს] დაკვეთა შეიძლება 15 ენკენისთვემდე; ეღირება გაუგზავნელად 1 მანეთი

## საბუღალტერო კურსები

**ტფილისი, სანაპირო ქუჩა, ვერის ხიდთან № 19.**

## ი. ფონ-ბრენნერისა,

(სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტისაგან და ფინანსთა სამინისტროს სასწავლო განყოფილებისაგან ყველა საკომერციო სასწავლებელში სახმარებლად მოწონებულ სახელმძღვანელოების ავტორისა).

კლასსები დაარსებულია 1890 წ. და ცნობილია სამოსწავლო მთავრობის მიერ.

კლასები აძლევენ სპეციალურ საკომერციო მომზადებას ორივ სქესის პირთ[ა]თვის, ვისაც ჰსურს მიიღოს ადგილი ბუჰჰალტერის, კორესპონდენტის, ანგარიშთა მწარ[მო]ებლის აგენტისა და სხვა.

კლასსებში ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) **ბუჰჰალტერიას** (ორმაგი, იტალიური და სხვა სისტემები, საგანგებო ანგარიშების წარმოება; საბანკო, საფაბრიკო, საქალაქო და საერობო საბჭოების, არყის მონოპოლიის, სარკინიგზო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სწავლება დაყენებულია პრაქტიკულად და მოსწავლენი პირველ გაკვეთილიდანვე ეჩვევიან საკუთრივ აწარმოვონ წიგნები. 2) **კომ. არითმეტ.** საბანკო, საქონლისა, სავექსელო და სხვა ანგარიშებისა. 3) **კორესპონდენციას** კომერციულ წერილების შედგენა საბუჰჰალტერო სწავლის, კომერციულ არითმეტიკის და სავაჭრო კანონების მიხედვით, 4) **კალლიგრაფიას**—ხელის გასწორებას სხვა და სხვა ხასიათის შრიფტების შესწავლას: 5) **კანონდებას**—სავექსელო, სავერბო, სამრეწველო, საკრედიტო და სხვა წოდებათა შესწავლას. 6) **საწერ მანქანებზე წერას;** მოსწავლეთა განკარგულებაში იმყოფება 10 სხვა და სხვა სისტემის მანქანა, რომლებზედაც თავისუფალ დროს შეუძლიანთ თავისი სამუშაო გაიკეთონ. ამასთანავე ტეხნიკოსის ზედამხედველობით შეისწავლონ ტეხნიკა და მანქანების მექანიზმი. 7) **საქონლის ცნობას,**—გააცნობს მოწაფეებს ადგილობრივ ბაზრის უმთავრეს საქონლის ქიმიურ შედგენილობას და იმის თვისებათა გამორკვევას. ამ მიზნისთვის კლასსებს საგანგებო კაბინეთი აქვს მოწყობილი. 8) **ანგარიშის ჩოთქზე**—არითმეტიკულ და ალგებრაულ ამოცანების კეთებას. განმარტივებული და ამერიკული წესები, ყველა არითმეტიკული მოქმედებანი და ამოცანების კეთება მთელის კურსის განმავლობაში წარმოება მხოლოდ ჩოთქზე. მოსწავლეთა საერთო და საგანგებო განვითარებისათვის მოწყობილია ბიბლიოთეკა საუკეთესო სახელმძღვანელოებით სასწავლო საგნების ლიტერატურიდან. მოსწავლეებს წიგნები შინ წასაღებადაც ეძლევათ.

კლასსებში კურს დამთავრებულთ უსასყიდლოდ შეუძლიანთ იქონიონ **პრაქტიკა** ი. ფონ-ბრენნერის სატეხნიკო და სავაჭრო—სამრეწველო ბიუროს კანტორაში, რაც, უეჭველია, დიდად სასარგებლოა მოსწავლეებისათვის.

კლასები შესდგება სამის განყოფილებისაგან: 1 განყოფილებაში მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნენი, 2-ში—საქალაქო ან სამკლასიან საშუალო სასწავლებელში კურს დასრულებულნი. და მე-3-ში—ბუხალტერის და კომერციულ არითმეტიკის პრაქტიკული მცოდნენი. დასაწყისი სწავლის 15 სექტ. თხოვნები მიიღება და ცნობები მიიცემა კლასსების კანცელარიაში, ტფილისში, სანაპირო ქუჩაზე, ვერის ხიდთან, საკუთარ სახლში N 19 ან ხერკიძევის ქუჩაზე N 4. კანცელარია ღიაა ყოველ-დღედილის 9 ნ 1—ამდე და საღამოს 5—დან 8 საათამდე. ტელეფონი N 929 და 1044. (20—ბუზ—3).